ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2023 №249 (9285) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ირაკლი ღარიბაშვილი: „2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა“

გვ.4



# „ქართულმა ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ლიდერად აქცია“

გვ.2




მამუკა გამყრელიძე: „ნაცმოძრაობა აღარ არის პარტია, მხოლოდ სააკაშვილია, დანარჩენი ბალასტია“





გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „საქართველოში პოლიტიკა ასეთი ღარიბი არასდროს ყოფილა“

## „სააკაშვილი როგორ არის, აღარავის აინტერესებს“

## „სტატუსის მონიჭებით ზოგიერთებმა პოლიტიკური ლოკდაუნი მიიღეს“

გვ.3



ზაალ ანჯაფარიძე: „უსაფრთხოების კუთხით, საქართველო სტატუსის მიღებით არავითარ გარანტიას არ მიიღებს“

გვ.4



„რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებისთვის“

## „ომში პაუზა რუსეთს მოაგროვებინებს რესურსს საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად“

*ისტორიები*

გვ.5



## რატომ განაიარაღეს ჩეჩენი მებრძოლები თბილისის აეროპორტში?!

გვ.6



## ვინ უსმენდა გენერალ ზალუჟნის?

## თსუ-მ დელტა დაამარცხა და პოტენციური ლიდერია

გვ.7




6 დაკარგულ მოზარდს ექვსი წლის შემდეგ სხვა ქვეყანაში მიაგნეს

5 ღვთისმსახურის კომპიუტერში ბავშვთა პორნოგრაფია აღმოაჩინეს

5 სკოლაში მყოფ მოსწავლეებს მეხი დაეცათ

6 ბაიდენი: „ემიგრანტების უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია“

# „ქართულმა ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ლიდერად აქცია“

## მამუკა გამყრელიძე: „ნაცმოძრაობა აღარ არის პარტია, მხოლოდ სააკაშვილია, დანარჩენი ბალასტია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, კვირის ბოლოს მიღებული კანდიდატის სტატუსია. არ დავდექით ცალ ფეხზე და ორ ფეხზე დგომით შევდივართო, პრემიერმა განაცხადა. საერთო სახლო ზეიმი კი პარტიულ ღონისძიებად აქციესო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ. სტატუსი გვაქვს, მაგრამ ევროკავშირის წევრობა გვექნება?***

— გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირმა მიიღო, იყო წმინდა პოლიტიკური, უფრო ზუსტად, გეოპოლიტიკური, რომელიც ემსახურებოდა იმ დაწყებულ პროცესს, რასაც ჰქვია რუსეთის გამოდევნა, კერძოდ, სამხრეთ კავკასიიდან და საზოგადოდ პოსტსაბჭოთა სივრციდან.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა, რომელიც დიდი ხანია დაიწყო, სწორედ ამ მიმართულებით იყო, რომ რაც შეიძლება მეტად შეეზღუდათ რუსეთის ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ერთადერთი, ვინც დღეს ევროპასთან დაახლოების ინტერესს არ გამოხატავს, ეს არის ბელორუსი, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ალბათ იქაც სხვა ვითარება შეიქნება. აი ჩვენს ხელისუფლებას კი, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მათთვის არავის უკითხავს, ჩვენ მოგვცემდნენ სტატუსს თუ არ მოგვცემდნენ. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს სტატუსი არ მიგვეღო, თუმცა ადგნენ და მოგვცეს.

***— ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირის მხრიდან?***

— წმინდა პოლიტიკური. მე ვიტყოდი, რომ გეოპოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. უბრალოდ, ჩვენს ხელისუფლებას არც დაეკითხნენ არაფერს. იყო რეკომენდაციები, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ არ შეასრულა. ის სამიც, რაც შეასრულა, ისიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. ჩვენ ვხედავთ, რომ არანაირი წინსვლა იმ საკითხებში, როგორიც არის დეპოლარიზაცია, სასამართლოს რეფორმა, საარჩევნო კოდექსი, აი ამ ძირითად ნაწილში, არანაირი წინსვლა არ არის. ხოლო რაც შეეხება დეოლიგარქიზაციას, უბრალოდ, სასაცილო საკითხად იქცა.

***— მოგვცეს სტატუსი, რა იქნება შემდგომში?***

— შემდგომში აღარ იქნება რეკომენდაციები, იქნება მოთხოვნები და ამ მოთხოვნების



შესრულების საფუძველზე, ჩვენ უნდა მივილოთ დიალოგის გახსნა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს დიალოგის გახსნაც პოლიტიკურ თემასთან იქნება დაკავშირებული.

***— ფიქრობთ, რომ გაიხსნება?***

— არ გამოვრიცხავ.

***— დაგვაწევენ უკრაინას და მოლდოვას?***

— უნდა დაგვაწიონ არა მარტო ჩვენ, არამედ ბოსნია-ჰერცოგოვინაც, მათაც ძალიან ბევრი რეკომენდაცია არ შეუსრულებიათ, ჩვენზე მეტი ჰქონდათ შესასრულებელი. მე მგონია, რომ ჩვენ და ბოსნია-ჰერცოგოვინას, ერთად დაგვაწევენ უკრაინას. შეიძლება ეს მოხდეს გაზაფხულზე, როდესაც ბოსნიას აღუთქვეს, რომ გაიხსნება ეს დიალოგი, სადღაც მარტის თვეში. თუმცა არც ის არის გამორიცხული, ეს მოხდეს წლის ბოლოს, უკვე არჩევნების შემდეგ. ევროკავშირში მაისშია, საქართველოში – ოქტომბერში.

***— ბატონო მამუკა, არჩევნების თემასაც მივადექით და საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. რა მოლოდინი გაქვთ? „ქართულ ოცნებას“ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია აქვს დაწყებული, ოპოზიციაში კი დიდი აურზაურია. რას ელოდებით?***

— კი ბატონო, ნამდვილად ასეა. ჩემი აზრით, მნიშვნელოვან წილად დაკავშირებული იქნება დასავლეთის პოზიციასა და არჩევნებთან, რომელიც დასავლეთში მიმდინარეობს. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკაშია არჩევნები და მათ აღარ აინტერესებთ საერთოდ არაფერი, რაც საქართველოში ხდება. ილუზიებში არ უნდა ვიყოთ, საქართველო ახლა, ამერიკის ინტერესების სფეროდან ამოვარდნილია სრულიად. აი ევროპისთვის კი, საქართველო ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველო უკვე არ არის მარტო სამხრეთ კავკასიაში, სომხეთიც გამოხატავს ცოცხალ ინტერესს, რომ დაიწყოს ის პროცესი, რაც საქართველომ გაიარა. შესაბამისად, ხელშეწყობა ძალიან სერიოზული იქნება. საქართველოს წინსვლა ამ მიმართულებით, სომხეთისთვის იქნება ერთგვარი ნიშანი იმისა, რომ ევროპა მზად არის მათაც გაუწოდონ მეგობრების ხელი. ჩემი აზრით, საქართველოს ექნება გარკვეული წინსვლა. თუმცა ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმ არჩევნებზე, რომელიც ჩატარდება მაისში. ჩვენ არ ვიცით, ვინ გაიმარჯვებს.

***— რას იტყვით ქართულ ოპოზიციაზე? მელიამ, როგორც იქნა, დატოვა ნაცმოძრაობა. რამდენად დაასუსტა ამ პროცესმა ნაციონალური მოძრაობა?***

— ჩემი აზრით, იმაზე ნაკლებად, ვიდრე ბოკერიას გასვლამ თავის დროზე. თუმცა იმაზე მეტად, ვიდრე ჯაფარიძის წასვლამ. მელიას საკმაოდ ბევრი ადამიანი გაყვა პარტიიდან, მათ შორის, ამომრჩეველიც. როდესაც გამოდიან და უკიჟინებენ მელიას, რომ აი, 15%-ს აიღებ და მიდის ბაქი-ბუქი, ეს რამდენად რეალისტურია? რამდენად მოასწრებს ის ერთი მხრივ ამომრჩევლების ორგანიზებას, მეორე მხრივ, საფინანსო რესურსების თავის მოყრას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ხაზარაძესთან თანამშრომლობის კონტურები იკვეთებაო და მისი ფულის იმედი ხომ არ აქვს?***

— არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა თანამშრომლობა მათ შორის იყოს. მეც მოვკარი ყური თქვენსავით, რომ აპირებენ თანამშრომლობას. აქვე ვიტყვი, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ამბიციების მოთოკვას. დღეს ყველაფერი დაკავშირებულია საარჩევნო კოდექსთან. საარჩევნო კოდექსი მაქსიმალურად ისე შეკრეს, რომ პარტიებმა ერთმანეთში გაერთიანება ვერ მოახერხონ. დავუშვათ, ერთიანდება ოთხი პარტია, აქედან სამმა უნდა დათმოს თავისი ამბიციები. ფაქტობრივად, უნდა გადავიდნენ უცხო პარტიის რიგებში. თავის ინდივიდუალურობას პატარა პარტიები ველარ შეინარჩუნებენ. თუ მელია გაერთიანდება „ლელოსთან“ და მის ფინანსებზე იქნება დამოკიდებული, მაშინ უნდა გავიდეს „ლელოს“ სახელით. საინტერესოა, მისი თანაგუნდელები და მისი ამომრჩეველი ამას რამდენად გადახარშავს? მოინდომებენ ამ ყველაფერს?! ის ხალხი, ვინც მას გაჰყვა, წაყვება „ლელოში“? ხაზარაძე რომ ბევრს ალიზიანებს, ამას რად უნდა ლაპარაკი.

***— ნაციონალურ მოძრაობაზე რას იტყვით?***

— დღეს ნაციონალური მოძრაობა აღარ არის პარტია. ის პარტია იყო ადრე და იყო სახელისუფლო პარტია, როდესაც ხელისუფლება დაკარგეს, ის გადაიქცა მხოლოდ და მხოლოდ მიშა სააკაშვილის მხარდამჭერ ჯგუფად. მის ერთგულ ამომრჩევლებად. ნაციონალური მოძრაობა, როგორც იდეა, პრაქტიკულად დაკარგულია. მას თავის დროზე მოაკლდა ინტელექტუალური ძალიან ძლიერი ნაწილი, ბოკერიას სახით. თუ რამე პროცენტს აიღებს დღეს ნაცმოძრაობა, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ მიშა სააკაშვილის. დანარჩენი ეს არის ბალასტი, რომელიც მიშას, პირიქით, ხელს უშლის.

***— რას იტყვით გახარიასა და მის პრეზიდენტთან თანამშრომლობაზე. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ შესაძლოა ჩაერთოს 2024 წლის არჩევნებში. რას იტყვით მის გააქტიურებაზე?***

— პრეზიდენტი სულაც რომ არ გააქტიურდეს, „ქართული ოცნება“ აკეთებს დღეს ყველაფერს იმისათვის, რომ მისგან შექმნას ძალიან სერიოზული ოპოზიციური ფრთა. საერთოდ არაფერში ჯდებოდა ის, რაც თავისუფლების მოედანზე მოაწყვეს. უკვე გასაბრაზებელიც არ იყო, სასაცილო იყო, პატარა გაბუტული ბავშვებივით მოიქცნენ. მერე ევროკავშირის ელჩმა ისე დატუქსა, რომ საერთოდ ნირწამხდარნი იდგნენ იქ. აი სწორედ იმ მომენტში, სალომე ზურაბიშვილი იქცა ოპოზიციის ლიდერად! აქამდე ის რაღაც მოძრაობებს აკეთებდა, იმ დღეს, თავისუფლების მოედანზე კი თვითონვე აქციეს ოპოზიციის ლიდერად! ახლა უკვე სალომე ზურაბიშვილზე იქნება დამოკიდებული, გააგრძელებს ამ მიმართულებით მოძრაობას, თუ უარს იტყვის. ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი რომ არ იქნება წინააღმდეგი, სალომე ჩაუდგეს მათ სათავეში, ესეც ცხადია. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ასეთი უნდა იყოს სწორედ გახარია.

***— განიხილავთ პრეზიდენტის და გახარიას თანამშრომლობას?***

— დიახ, განვიხილავ. სიმართლე გითხრათ, ახლა გახარიას კარგი პოზიცია არა აქვს. მას სერიოზული პრობლემები აქვს ფინანსების კუთხით. თუმცა ასეა ყველა პარტია, გარდა „ლელოსი“.

***— პრეზიდენტთან მისვლით, როგორ შეემატება ფინანსები? ფული, ალბათ, არც სალომე ზურაბიშვილს აქვს.***

— ფინანსები შეიძლება არ შეემატოს, მაგრამ სიმყარე შეემატება. ოლონდ მარტო თვითონ რომ ჩადგეს პრეზიდენტთან, ეგ არ გამოვა, ალბათ სხვა პარტიებიც უნდა შეიერთონ. ამის მსურველი ბევრი იქნება. გახარია იმისთვისაც მზად უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევაში, მას მოუწევს ლიდერის პოზიციის დათმობა. გახარიას არ აქვს უფასო სატელევიზიო რეკლამა, ეს კი ძალიან დიდ ფულს მოითხოვს. რეკლამა დიდი ფუფუნებაა. ამის გარეშე შენს სათქმელს ვერ მიიტან ამომრჩევლამდე.

# „სააკაშვილი როგორ არის, აღარავის აინტერესებს“

## დავით ჭიჭინაძე: „საქართველოში პოლიტიკა ასეთი ღარიბი არასდროს ყოფილა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ტრიბუნას“ თავმჯდომარე დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება, კარგი სასტარტო მდგომარეობა იქნება „ქართული ოცნებისთვის“ წინასაარჩევნოდ? დეპუტატმა მათიკაშვილმა თქვა, რომ არასდროს არავის უთქვამს, რომ დასავლეთს საქართველოში ომი უნდა.***

— რა თქმა უნდა, წინასაარჩევნოდ სტატუსის მიღება კარგი სასტარტო მდგომარეობა იქნება ნებისმიერი სახელისუფლო პარტიისთვის. გასაგებია, რომ ეს არ არის ოპოზიციის დამსახურება. თუმცა, რასაკვირველია, ყველაფრის თავი და მიზეზი არის ქართველი ხალხი, რომელსაც უნდოდა და უნდა დასავლური ცივილიზაციის ნაწილი იყოს.

საქართველოს სტრატეგიული დანიშნულება აქვს რეგიონში და ცხადია, რომ ევროკავშირს, დასავლეთს ზოგადად აინტერესებს ეს რეგიონი. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ სტატუსს აუცილებლად მოგვცემდნენ. უკეთესი იქნებოდა, მაშინვე მოეცათ, რადგან რეფორმების განხორციელება უფრო ადრე დაიწყებოდა და ხალხიც არ ინერვიულებდა. საქართველოსთან მიმართებით ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. პრობლემა იყო და არის უკრაინა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში დასავლეთის ინტერესი დღითიდღე იზრდება. სომხეთს, საერთოდ არ აქვს არც სტატუსი და არც განაცხადი ევროკავშირში, მაგრამ ევროკავშირის ინტერესი სომხეთის მიმართაც ძალიან დიდია. დიდია, რადგან დასავლეთს აინტერესებს ეს რეგიონი და ასე მარტივად არ დათმობს. ევროკავშირისთვის დასავლურ ორბიტაზე ამ რეგიონის მოქცევა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, ადრე თუ გვიან, ჩვენ



სტატუსს აუცილებლად მოგვცემდნენ. თან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის არჩევანს, სურვილს, რომელიც შეუქცევადია. ამ საქმეში ზოგადად ოპოზიციის როლი მინიმალურია, საერთოდ არაფერია.

***— ასეთი სუსტი ოპოზიცია ალბათ არასდროს არ ყოფილა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?***

— ალბათ კარგად იმუშავა თავის დროზე ე.წ. შუა უნდა გაიკრიფოს იდეამ. შუა მართლაც გაიკრიფა. მერე, მთელი ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ გადაპორტირდა. მეტიც, შეისისხლხორცეს.

საქართველოში პოლიტიკა ასეთი ღარიბი არასდროს ყოფილა. რეალურად ოპოზიცია დღის წესრიგს ვერ ქმნის. მთელი ეს პერიოდი საუბარი იყო სტატუსზე. მართალია, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ხომ სავსებით გასაგები იყო, რომ სტატუსს მოგვცემდნენ. მაგრამ მაინც, მოგვცემენ – არ მოგვცემენ, ამას დაეთმო მთელი წელი. მანამდე იყო, სააკაშვილი მოკვდება თუ არ მოკვდება! გაუშვებენ თუ არ გაუშვებენ! ეს არის ის დღის წესრიგი, რომელიც ნამდვილად არაფერში აწყობს ქართველ ხალხს. იმდენი პრობლემა აქვთ ადამიანებს, ჩვეულებრივ ოჯახებს, რომ საერთოდ არ ფიქრობენ და არ აინტერესებთ, სააკაშვილი როგორ არის. შეჭამა საჭმელი თუ არ შეჭამა. შვილებს რა აჭამონ და როგორ გაუშვან სკოლაში, იმაზე ღელავენ და ფიქრობენ.

ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ხალხის ამ საფიქრალზე,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სტატუსის მონიჭებით ზოგიერთებმა პოლიტიკური ლოკდაუნი მიიღეს“

## ზაალ ანჯაფარიძე: „უსაფრთხოების კუთხით, საქართველო სტატუსის მიღებით არავითარ გარანტიას არ მიიღებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე პასუხობს.



***– ბატონო ზაალ, გილოცავთ, საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო. როგორ ფიქრობთ, ამ სტატუსის მიღება ქვეყნის შიდა დაძაბულობასა და წინააღმდეგობებს თუ განტვირთავს?***

– არა მგონია, კანდიდატის სტატუსის მიღებამ ქვეყნის შიგნით დაძაბულობა განტვირთოს, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ სტატუსის მიღების შემდეგაც დაპირისპირება არ წყდება.

***– რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები აქამდე აცხადებდნენ, რომ ამ სტატუსს საქართველო არ იმსახურებს, ხელისუფლება არ იმსახურებს, რადგან 12-პუნქტიანი გეგმა არ შეუსრულებიაო. ახლა რა არგუმენტებს მოიყვანენ?***

– ახლაც იგივეს ამბობენ, ხელისუფლება არ იმსახურებდა და სტატუსი კრედიტად მისცესო. ხიდაშელის სიტყვებს რომ დავესესხოთ, იგივეს ამბობენ ახლაც – ხელისუფლება რეკომენდაციებს არ შეასრულებსო და ა.შ. თვითონ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობასაც არ აპირებენ.

ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებასთან აქამდეც არ თანამშრომლობდნენ, ვფიქრობ, ისინი იგივე ხაზს გააგრძელებენ. სტატუსის მიღების შემდეგ, მათ პოლიტიკური ლოკდაუნი მიიღეს.

ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქართველოს სტატუსი არ მიეღო, მაგრამ ახლა, მგონი, ლოკდაუნიდან გამოვიდნენ და 9 რეკომენდაციის შესრულებაზე ხელისუფლების კრიტიკა დაიწყეს და ხელისუფლების შერყევას შეეცდებიან.

***– ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება ქვეყანას რა დივიდენდებს მოუტანს? საქართველო უსაფრთხოების კუთხით თუ მიიღებს რაიმე გარანტიას?***

– არა მგონია, უსაფრთხოების კუთხით საქართველო სტატუსის მიღებით არავითარ გარანტიას არ მიიღებს. ერთადერთი, უსაფრთხოების გარანტია საქართველომ შეიძლება ნატოში გაწევრიანებით მიიღოს. ამ კუთხით, ჩვენი მოსახლეობა ტყუილად ილუზიებს ნუ შეიქმნის.

***– რატომ, ნატოს გაფართოების საკითხი არ დგას?***

– ნატოს გაფართოების საკითხი არ დგას, მაგრამ ვიდრე საქართველო ნატოს წევრი არ იქნება და ნატოს უსაფრთხოების ქოლგა არ გადაეფარება, მისი უსაფრთხოება სათანადოდ დაცული არ იქნება. კანდიდატის სტატუსის მიღება (როდესაც ჯერ წევრიც კი არ ვართ), უსაფრთხოების არავითარ გარანტიას არ იძლევა.

***– მაშინ რატომ ვიკლავდით თავს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის?***

– ევროკავშირის წევრობა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში უწერია. კანდიდატის სტატუსის ეტაპის გარეშე, წევრი როგორ გავხდებით. ახლა მთავარია, 9 რეკომენდაცია ისე შესრულდეს, ევროკავშირს კითხვები არ დარჩეს და წევრობაზე მოლაპარაკებები გაიხსნას, მაგრამ როგორ და როდის მოხდება ეს, ამის თქმა რთულია.

***– კანდიდატის სტატუსის მიღებაზე რუსეთს ნაკლები რეაქცია ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მომავალში რუსეთისაგან რეაქციებს შეიძლება ველოდოთ? ნატოს მაპი რომ მიგვეღო, რუსეთს უფრო დიდი რეაქციები ექნებოდა.***

– გასაგებია. მაპი რომ მიგვეღო, რუსეთს რეაქცია ექნებოდა. ბუქარესტის სამიტზე ჩანაწერი რომ გაკეთდა (უბრალოდ, ვადების გარეშე), საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიანო, რუსეთს მწვავე რეაქცია ჰქონდა და ყველაფერი გააკეთა, პროცესი შეეფერხებინა თავისი აგრესიითა და ტერიტორიული მთლიანობის შელახვით.

ახლა რუსეთმა იცის, რომ კანდიდატის სტატუსიდან წევრობამდე, წევრობაზე მოლაპარაკებების გახსნასა და მოლაპარაკებების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დიდი დროა საჭირო და, ჯერჯერობით, საქართველოს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა არ აქვს. ამიტომაც რუსეთი ახლა სიტუაციას დააკვირდება და სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედებს.

რუსეთს ახლა უკრაინასთან დაკავშირებული თავის ტკივილი აწუხებს. მას უკრაინასთან პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. რა თქმა უნდა, რუსეთს საქართველოც ყურადღების ცენტრში ჰყავს, მისი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ამ ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ძალებია განთავსებული.

ამის გამო, რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობა.

***– სტატუსის მიღების წინა პერიოდში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველების მკვლელობის შემთხვევები იყო.***

– ამას არ ვგულისხმობ. ეს მკვლელობები სტატუსის მიღებას არანაირად არ უკავშირდება. ამ ორ შემთხვევას სტატუსის მიღებას ნუ დავუკავშირებთ. აბსოლუტურად განაწყენებული შემთხვევები იყო. მე უფრო სერიოზულ პროვოკაციებს ვგულისხმობ, რომელმაც შეიძლება სერიოზულ სამხედრო შეტაკებამდე მიგვიყვანოს.

***– ახლა რუსეთს უკრაინასთან პრობლემა აქვს და საქართველოსთან სიტუაციის გაუარესება არ უნდა?***

– სიტუაციის გაუარესება არ უნდა კი არა, ამჟამად საქართველო მისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენს. ლავროვის განცხადებას შეგახსენებთ – ევროპას და ამერიკას უნდა, რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან გააძევოს და რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, ეს არ მოხდესო.

პრინციპში, ეს იყო შეხსენება ევროპისა და ამერიკისთვის, საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოსთვის, რუსეთი აქედან არსად წასვლას არ აპირებსო.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა“



ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარსდგა.

– მე შევეცდები თავიდან, ერთგვარი შესავალის სახით ჩვენი ანალიზი გაგიზიაროთ. ასევე გაგიზიაროთ ჩემი შეფასებები იმ ძირითად მოვლენებთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში და ზოგადად, რეგიონში. ასევე, ჩემს ანგარიშში შევეხები იმ მიღწევებს, რომელსაც ჩვენ, მთელმა გუნდმა, მთავრობამ და პარლამენტმა ერთად, მთელმა ხელისუფლებამ, ყველამ ერთად მივაღწიეთ. ასევე მინდა შევეხო გეოპოლიტიკურ ვითარებას, რეგიონში არსებულ მდგომარეობას.

პირველ რიგში, მინდა დავიწყო მოლოცვით, კიდევ ერთხელ, ვინაიდან ჩვენმა გუნდმა და მთლიანად ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად მივაღწიეთ უდიდეს გამარჯვებას – ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ეს არის მრავალი თაობის ოცნების ახდენა. ეს ბუნებრივია, არ ყოფილა მარტივი და ჩვენ ძალიან ბევრი გამოწვევის ალსავსე პერიოდები, ეტაპები გავიარეთ, ძალიან ბევრი სირთულე გავიარეთ ერთად, ბევრი განსაცდელები, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიხელმძღვანელეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ მივაღწიეთ ამ შედეგს მეგობრებო. მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედეთ და მოვედით დღევანდელობამდე.

2012 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის რეალურ ევროპეიზაციას, დემოკრატიზაციას. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები. მე ადრეც მითქვამს ძალიან ბევრჯერ, რომ თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა მიაღწია ძალიან კონკრეტულ შედეგს, ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის სწორედ „ქართული ოცნება. – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 2008 წელს მაშინდელმა უპასუხისმგებლო მთავრობამ ვერ მოახერხა ომის თავიდან არიდება და 2008 წელს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, ომი არ მოხდებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინაში მიმდინარე ომზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ომის შედეგად, იცვლება ის მთავარი წესები, რომელზეც არის დაფუძნებული მთელი მსოფლიო და ის წესრიგი, რომელიც შექმნილი იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

– არ დაგვავიწყდეს თუ რა რეალობაში მივაღწიეთ აი ამ შედეგს. დღემდე გრძელდება დამანგრეველი ომი უკრაინაში. მას შემდეგ, რაც ეს ომი დაიწყო უკრაინაში რუსეთის ფედერაციამ, უკრაინის ტერიტორიის 20% უკვე არის ოკუპირებული და ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ომი არ წყდება. ასი ათასობით ადამიანი უკვე დაიღუპა ამ ომის შედეგად, მილიონობით ადამიანმა დატოვა უკრაინის ტერიტორია, 10 მილიონზე არის საუბარი, 10 მილიონმა უკრაინელმა დატოვა უკრაინა და ერთი ამდენივე, 10 მილიონზე არის საუბარი, რომ შიდა მიგრაცია, გადაადგილება მოხდა. ეს არის ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს. ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარეთ და ვეხმარებით ჩვენს უკრაინელ მეგობრებს.

არავინ არ იცის, ზუსტად როგორ დასრულდება ეს ომი და რა შედეგები ექნება ამ ომის დასრულებას მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, ჩვენს რეგიონზე. როგორ ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი. გამოწვევა სახეზეა, ჩვენ ეს გამოვიარეთ 2008 წელს. აგვისტოს ომი იყო რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ტრაგედია ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ სამწუხაროდ მაშინდელმა უპასუხისმგებლო მთავრობამ ვერ მოახერხა ამ ომის თავიდან არიდება. მე ეს არაერთხელ მითქვამს, რომ 2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა. ახლა, რატომ ვამბობ ამას, მეგობრებო. ჩვენ კარგად ვიცით და ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებას ღიად ვესაუბრებოდით იმ რისკების შესახებ, რომლის წინაშეც გვიწევდა ჩვენ გამკლავება. საფრთხე იყო საკმაოდ რეალური, ეს არ იყო მოგონილი, იყო საფრთხე ქვეყნის დესტაბილიზაციის. ქვეყნის შიგნით მოქმედი რადიკალური ჯგუფები და მტრული ძალები, მე არ მოვერიდები ამის თქმას, პირდაპირ იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ ქვეყანა ჩაბმულიყო ამ საომარ ვითარებაში. მე ფაქტებს აღარ გაგახსენებთ, ყველამ კარგად ვიცით ყველაფერი. ამიტომ, ჩვენმა ხელისუფლებამ, ძვირფასო მეგობრებო, საზოგადოებავ, მინდა გითხრათ კიდევ ერთხელ, რომ უნდა ითქვას სიამაყით, ჩვენ ვინაიდან და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილებები, ჩვენ ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ერს, ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას დაატყდეს თავს, არის ომი, ეს ყველაზე დიდი განსაცდელი თავიდან ავარიდეთ და ავირიდეთ.

ავიცილეთ ომი და მშვიდობიანად, გონივრულად და მტკიცედ გავიყვანეთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე. ჩვენ ეს გამარჯვება ერთად მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რისკები მთლიანად არის განეიტრალებული, ბუნებრივია ეს რისკები არსად არ წასულა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით და გონიერებით ვაფასებთ რისკებს, ვახდენთ საფრთხეების იდენტიფიცირებას, შესაბამის პრევენციებს ვახორციელებთ და ვიცავთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველს, ჯეიკ სალივანს.

– მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, პარტნიორებს, თითოეული თქვენგანის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თითოეული თქვენი ხმა და თქვენი მხარდაჭერა. მე კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ევროკომისიის პრეზიდენტს და მთლიანად ევროპელ ლიდერებს, ბატონ შარლ მიშელს, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს, მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვარჰეის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გვეხმარებოდა ჩვენ და ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი იყო ჩვენი მისწრაფების და რა თქმა უნდა, 27-ვე ქვეყნის ლიდერებს, 27-ვე ქვეყანას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მინდა მადლობა ვუთხრა და მათ ელჩებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ჩვენთან, ამ დარბაზში. მადლობა! გულწრფელად მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ მეგობრებს.

მე ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ სალივანს. მე ეს რამდენიმე კვირის წინ ვთქვი, მაშინ, როდესაც, უკვე რეკომენდაცია გაიცა ევროკომისიის მიერ, რომ ბატონი სალივანი იყო ერთ-ერთი გამოკვეთილი მხარდამჭერი ჩვენი ქვეყნის წარმატების ევროპულ გზაზე და მე მქონდა ძალიან წარმატებული შეხვედრა მასთან., ჩვენ ბევრი საკითხი განვიხილეთ და გადავწყვიტეთ. ბევრი საკითხი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობას და ჩვენს მომავალ პარტნიორობას შეეხება. და რა თქმა უნდა, მადლობა მინდა ვუთხრა ამერიკის ახალ ელჩს, რომელიც პირადად იყო ჩასული ბრიუსელში და იყო ძალიან გულმხურვალე მხარდამჭერი ამ წარმატების, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მიმოიხილა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები, რომლებიც ობიექტურად ასახავს საქართველოს წინსვლას და გლობალუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2023, 19 დეკემბერი, №249

# „ომში პაუზა რუსეთს მოაგროვებინებს რესურსს საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად“

მარიამ მჭედლიშვილი

ევროინტეგრაციაში სხვადასხვა სტადიაზე მყოფი საქართველო და უკრაინა გაფართოების ახლანდელ ტალღაში მოჰყვნენ. ამასთან, აგრესორი რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები ორივე სახელმწიფოსთვის ჯერ კიდევ არსებობს. სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი სამხედრო-პოლიტიკური მიმომხილველი ალექსანდრ კოვალენკო. საქართველოს ხელისუფლებაზე მის შეფასებებს ყველა არ დაეთანხმება. ექსპერტის გაფრთხილებები რუსეთიდან საფრთხის შესახებ ნებისმიერ შემთხვევაში ყურადსაღებია.



***– როგორ გგონიათ, რიდის დაამტკიცებს აშშ-ის კონგრესი დახმარებას უკრაინის მიმართ?***

– განვიხილოთ ორი ვარიანტი. პირველი – დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები კანონპროექტს მიიღებენ უახლოეს ხანში. ეს ჩვენთვის საუკეთესო სცენარი იქნებოდა. მეორე – კანონპროექტს არ მიიღებენ საშუალოვადიან პერსპექტივაშიც კი.

უკრაინას მხარს უჭერს რესპუბლიკელთა უმრავლესობა. წინააღმდეგ მხოლოდ ტრამპისტები გამოდიან. ისინი უმრავლესობას არ წარმოადგენენ. როცა ტრამპი 2016 წელს აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს, ბევრს ეგონა, რომ უკრაინისადმი დახმარება შეწყდებოდა. სინამდვილეში, ტრამპის მმართველობისას იარაღის მოწოდება გაიზარდა და იმაზე მეტი გახდა, ვიდრე ობამას დროს იყო. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პრეზიდენტს არ მიჰყავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. ამას აკეთებს მისი გარემოცვა, რომელიც განსაზღვრავს საშინაო და საერთაშორისო კურსს, ასევე, თვით სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებებს.

ამრიგად, ტრამპი, პუტინისა და რუსეთის მიმართ პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ბევრ ქმედებაში შეზღუდული იქნება. ამჟამად სიტუაცია ანალოგიურია: ერთი მხრივ, ტრამპი ამჟღავნებს ლოიალობას კრემლისადმი, მეორე მხრივ კი, რესპუბლიკელთა უმეტესობა რუსოფობები არიან. არა მგონია, რომ რესპუბლიკელებმა უგულვებელყონ საკუთარი ქვეყნის ინტერესები.

***– უკრაინის მიმართ დახმარების გადაწყვეტილების დაბლოკვა მხოლოდ წინასაარჩევნო ბრძოლაა?***

– ეს წინასაარჩევნო ბატალიები გავლენას ახდენს დახმარებაზე უკრაინის მიმართ. ამ ფონზე გვმართებს საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლა. ომი უკრაინაში – ეს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ, პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური კამპანიაცაა. ამიტომაც, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი მოქმედებების კორექცია არსებულ პოლიტიკურ ბატალიებთან და ტურბულენტურობასთან. განსაკუთრებით, იმასთან, რომელიც მიმდინარეობს აშშ-ში.

***– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თუ ომი უკრაინაში გაიყინება, რუსეთის ფედერაცია თავს დაესხმება ნატოს ქვეყნებს. ეს რეალურია?***

– რუსეთი უახლოეს ხანში ნატოს ქვეყნების წინააღმდეგ არ წავა. საშიშროება სხვა რამეში მდგომარეობს – რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებისთვის.

წარმოვიდგინოთ ყველაზე უარესი სცენარი: რუსეთმა ომის გარკვეულ სტადიაზე დაიპყრო ხერსონშჩინის მარჯვენა სანაპირო, ნიკოლაევისა და ოდესის ოლქები. ამ შემთხვევაში ის მიიღებს გასასვლელს დნესტრისპირეთზე და დაემუქრება მოლდოვასა და რუმინეთს.

უფრო მეტიც, თუ იქნება პაუზა ომში, ან დაიკლებს საბრძოლო მოქმედებების ინტენსიურობა, რუსეთს მიეცემა შესაძლებლობა, აღადგინოს პოტენციალი და დააგროვოს რესურსი საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად.

მოსკოვისთვის საკმარისი არაა საქართველოს ხელისუფლების სათავეში პრორუსული ძალის ყოფნა. მისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ფიზიკური კონტროლი. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გაჩნდება სომხეთზე გასასვლელი. სომხეთი ცდილობს გამოვიდეს რუსეთის ფედერაციის გავლენიდან. სომხეთის ლიდერი, პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, მოსკოვისთვის უხერხული და ტოქსიკური პოლიტიკოსია. სომხეთი თუ დაიპყრო, რუსეთი გაიძლიერებს გავლენას მთელ სამხრეთ კავკასიაში. არსებობს კიდევ ერთი ზონა (სახიფათო) – ჩრდილოეთი ყაზახეთი. ეს არის ჰიბრიდული და სხვა სახის საფრთხეების ზონა ყაზახეთისათვის.

ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესია რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სუიციდალური ნაბიჯი იქნება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თუ გადაწყვეტდა მოსკოვზე გალაშქრებას, ის მოსკოვს სწრაფად, სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე აიღებდა. ამის გაკეთება თითქმის მოახერხა პრიგოჟინმა. მან დაწყებული საქმე ვერ დაამთავრა.

***– რამდენად საშიში შეიძლება იყოს რუსეთი ევროპისთვის?***

– ევროპის ქვეყნები შეიძლება შეეჯახონ ჰიბრიდულ საფრთხეებს. პირველ რიგში, ეს ეხება ბალტიის ქვეყნებს – ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთს. პოლონეთის მიმართ შესაძლებელია მიგრაციული გლობალური შეტევის ამოქმედება. ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე არსებობს რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური ძალების საქმიანობით გამოწვეული საშიშროება. ასეთი ძალებია, მაგალითად, „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რუსეთიდან დაფინანსებული მარინ ლე პენი საფრანგეთში, პრორუსი მატეო სალვინი იტალიაში და სხვები.

სანამ მსოფლიოში არ დაინახავენ რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულების მთელ მასშტაბს, რუსეთის ხელისუფლებას ნაცისტებად არ ჩათვლიან. მანამდე ევროპა მოახდენს (რუსეთის მიმართ) თავისი ტოლერანტულობის, უხერხემლობისა და ამორფულობის დემონსტრირებას.

***– როგორ განვითარდება მოვლენები 2024 წელს ომში?***

– არავინ ამბობს, რომ ომი ძალიან მალე დამთავრდება. კითხვები ეხება გაჭიანურებულ ბრძოლას. რეალურად, ჩვენ ომში ვართ 2014 წლიდან. უკრაინაში ყველაფერი დაიწყო ჰიბრიდული გზით, 2022 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი ფაზა.

დარწმუნებული ვარ, რომ 2024 წელს ომი არ დამთავრდება. ომში იქნება სხვადასხვა ფაზა – თავდაცვითი, შეტევითი, ტერიტორიების გათავისუფლების და ა. შ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რი პოზიციონირების გაუმჯობესებას.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მთავრობის თითოეულ წევს, ყველა საჯარო მოხელეს, პარტია „ქართულ ოცნებას“ და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ შედეგის მიღწევაში.

„და ბოლოს მეგობრებო, მე მინდა, ეს ყველაფერი, რაზეც ახლა ვისაუბრე, შევაჯამო იმ რეიტინგებით, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგებით, რომლებიც ობიექტურად ასახავს საქართველოს წინსვლას და გლობალური პოზიციონირების გაუმჯობესებას.

დავიწყებ იმით, რომ ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების“ წლევანდელ „დემოკრატიის ანგარიშში“ დემოკრატიზაციის 10-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყანაში საუკეთესო ათეულშია. ეს არის 11-წლიანი მუშაობის შედეგი. თითქმის 180 ქვეყანაში საუკეთესო ათეულში მოხვდა საქართველო დემოკრატიზაციის ანგარიშში.

„World Justice Project“-ის მიხედვით, „კანონის უზენაესობის ინდექსში“ საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზე არის, საშუალო შემოსავლიან ქვეყნებს შორის მე-6 ადგილს იკავებს.

მინდა ასევე ვთქვა, რომ ისეთ ინდექსებში, როგორიც არის კორუფციისგან თავისუფლება, საქართველო მსოფლიოში 33-ე ადგილზე გავიდა წელს, ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი ადგილი დაიკავა.

რეგულაციების ხარისხით საქართველო ეკონომიკებს შორის მე-7 ადგილზე, ხოლო სახელმწიფოებს შორის მე-9 ადგილზეა.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის „Transparency International“ მიერ 2022 წელს გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსში“, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის საქართველო 41-ე ადგილზეა და რეგიონში ლიდერია.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრის (ERCAS) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის „გამჭვირვალობა ომიანობის ჟამს“ მიხედვით, საქართველო მე-17 ადგილს იკავებს წლევანდელ „გამჭვირვალობის ინდექსში“ და უსწრებს ევროკავშირის 15 წევრ სახელმწიფოს და დიდი შვიდეულის 4 ქვეყანას.



„Fraser Institute“-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, ცნობილი ინსტიტუტი, „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება“ საქართველო 165 ქვეყანას შორის 25-ე ადგილს იკავებს და მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს შორისაა.

„Freedom House“ მიერ გამოქვეყნებული „ინტერნეტის თავისუფლების ინდექსის“ თანახმად, საქართველოს 100-იდან 76 ქულა მიენიჭა და „თავისუფალი ქვეყნების“ სიაში მსოფლიოს 70 ქვეყანას შორის მე-9 ადგილზეა.

ასევე მინდა ვთქვა, რომ სავალუტო ფონდის 2022-2028 წლების განახლებული შეფასებისა და გრძელვადიანი პროგნოზების თანახმად, საქართველო მსოფლიოში მეორე, ხოლო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილზე გავიდა შემდეგი მაჩვენებლებით: 2022-2028 წლებში ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის ზრდა; ასევე მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური ეკონომიკის ზრდის ტემპი და მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის ტემპი მუდმივ ფასებში.

მსოფლიოს მოწინავე შვეიცარულმა ანალიტიკურმა ცენტრმა „Global Risk Profil“-მა „გლობალური კორუფციის ინდექსი 2023“ გამოაქვეყნა. საქართველო 2 ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს თითქმის 200 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში, 43-ე ადგილზე; შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი, რა თქმა უნდა პირველ ადგილზე გავიდა „კორუფციის დაბალი დონის“ მიხედვით.

ღია ბიუჯეტის ინდექსის მიხედვით, 10 წლის წინანდელი საქართველო შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყნებს შორის იყო. შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყანა იყო საქართველო 10 წლის წინ. ხოლო 2022 წელს კი „ღია ბიუჯეტის ინდექსით“ საქართველომ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით. აი ეს არის რეალური პროგრესი.

მმართველობის ხარისხით საქართველო გამოირჩევა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის და მეტიც, რიგ ინდიკატორებში უსწრებს ევროკავშირის 10-ზე მეტ წევრ და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას.

მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების მიხედვით, რეგულირების ხარისხით საქართველო უსწრებს ევროკავშირის 13 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას.

კორუფციის კონტროლის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 10 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას, მთავრობის ეფექტურობის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 8 ქვეყანას და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას.

ეს არის შედეგი, რომელსაც ჩვენმა ხელისუფლებამ მიაღწია ბოლო 11 წლის განმავლობაში.

მინდა გავიმეორო ის სიტყვები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ვთქვი: საქართველო ევროპული სახელმწიფო გახდა. ეს პროცესი არის შეუქცევადი. ახლა საჭირო არის კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი მოტივაციით, მეტი საქმის კეთება, იმისთვის, რომ ქვეყანა გახდეს რეალურად ევროპული სახელმწიფო და რაც მთავარია, ჩვენი მთავარი ოცნება ავიხდინოთ, ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და რეალურ წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებულ წელს, ჯანმრთელობას და მშვიდობას! – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# „სააკაშვილი როგორ არის, აღარავის აინტერესებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამ პრობლემებზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა იმ თემებზე, რომელიც არაფერში ადგება ჩვეულებრივ ოჯახს.

ოპოზიცია რეალურ დღის წესრიგს ვერ ქმნის. ოპოზიცია ხალხის პრობლემებზე არ საუბრობს. ეს არის მისი უმთავრესი პრობლემა. ამიტომ, რატომ უნდა გაუკვირდეს ვინმეს, რომ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ ძალიან კარგად გამოიყენებს სტატუსის მონიჭების საკითხს?! მთელი ეს პერიოდი ოპოზიცია იძახდა, სტატუსს არ მოგვცემენო, მაგრამ ხალხმა ნახა, რომ მოგვცეს. ოპოზიცია უნდა დაფიქრდეს, რას ამბობს, რომ მერე ასეთი განწბილებული არ დარჩეს.

***– წინასაარჩევნოდ რამდენად არის მოსალოდნელი „ქართულ ოცნებაში“ გადაჯგუფება? თქვენი აზრით, ოპოზიციურ ფლანგზეც რა სიახლეს უნდა ველოდოთ?***

– ალბათ, ეს პროცესები არჩევნების მოახლოებულს უფრო გამოიკვეთება, მაგრამ ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ რეალური პრობლემების გადაჭრა, რომელიც ხალხს აქვს, ამ დღის წესრიგით ვერ მოხდება. სტატუსი ვერ მოაგვარებს ამ ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს, კატასტროფულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. იმას, რომ ხალხი ქვეყნიდან გარბის ემიგრაციაში. თუ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაშინ ეს ხალხი რატომ გარბის?! ფულის მსყიდველუნარიანობა ასეთი არასდროს ყოფილა. კატასტროფულად გაძვირდა ცხოვრება. ცხოვრების დონე ვერა და ვერ გაიზარდა. ამიტომ გარბის ხალხი ემიგრაციაში. თუ ქვეყანა ქართველი ხალხისგან დაიცალა, მაშინ ყველაფერი გვერდით დაგვრჩება.

# რატომ განაიარაღეს ჩეჩენი მებრძოლები თბილისის აეროპორტში?!

ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

***— ბატონო თენგიზ, როგორ ვითარდებოდა თბილისში და მთელ საქართველოში პროცესები შიდა ომის დაწყების შემდეგ?***

— 23 და 24 დეკემბერს განუწყვეტლივ მიმდინარეობდა მუშაობა, რათა შემუშავებულიყო ხელშეკრულების პროექტი საომარი მოქმედებების შეწყვეტის მიზნით. ამ მუშაობის შედეგად მართლაც შედგა ასეთი წინადადებები, რომელიც თერთმეტი პუნქტისგან შედგებოდა. პირველი პუნქტი – 25 დეკემბერს 10 საათზე ორივე მხარეს უნდა შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები ე.ი სროლა უნდა შეწყვეტილიყო. მეორე – 25 დეკემბრის 12 საათისთვის უნდა დაწყებულიყო დელეგაციების მოლაპარაკება სამხედრო კონფლიქტის საბოლოო შეწყვეტის თაობაზე. მესამე – 28 დეკემბრის 10 საათისთვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიას უნდა გაეგრძელებინა მუშაობა და აუცილებლად მისი ტრანსლირება უნდა მომხდარიყო ტელევიზიის საშუალებით. მეოთხე – სესიაზე გამოსვლის უფლება უნდა მისცემოდათ ოპოზიციურ დეპუტატებს. მეხუთე – სესიის გადაწყვეტილებით უნდა დანიშნულიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები და რეფერენდუმი. მეექვსე – უნდა შეჩერდეს პრეზიდენტის უფლებამოსილება დროებით რეფერენდუმის ჩატარებამდე. მეშვიდე – ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადა, 1992 წლის აპრილის პირველი დეკადა. მერვე – რეფერენდუმის ჩატარების ვადა, 1992 წლის მარტის მეორე ნახევარი. რეფერენდუმის საკითხი – შენარჩუნებული იქნას თუ არა საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი. მეცხრე – პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში, ე.ი. 1992 წლის იანვრიდან მარტამდე ხელისუფლებას ახორციელებენ – საკანონმდებლოს, არსებული უზენაესი საბჭო, აღმასრულებელს, არსებული მინისტრთა კაბინეტი. მეათე – გაუქმდეს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციების აკრძალვა. მეთერთმეტე – ოპოზიციური ეროვნული გვარდია დელეგაციების მიერ შეთანხმებულ დროს, 30 დეკემბრამდე უბრუნდება თავისი დისლოკაციის ადგილს თბილისის ზღვაზე. ამავე ვადებში თბილისს ტოვებენ რაიონებიდან შემოყვანილი რაზმები. ქალაქ თბილისში მართლწესრიგს იცავს თბილისის მილიცია. მეთვალყურეობას ამ პუნქტების შესრულებაზე ახორციელებს დელეგაციების მიერ შეთანხმებული დროებითი კომიტეტი, ორივე მხარის პარიტეტული წარმომადგენლობით. აღნიშნული წინადადებები განსახილველად გადაეგზავნათ იუსტიციის მინისტრ ჯონი ხეცურიანს, თავდაცვის მინისტრ ჯონი ფირცხალაიშვილს და უშიშროების მინისტრ თამაზ ნინუასს.

***— რა ხდება ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე?***

— 25 დეკემბერს თბილისის ქუჩებში ბრძოლები გრძელდება. იწვის პირველი სკოლის და კავშირგაბმულობის შენობები. ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა სცადეს შეტევა განეხორციელებინათ ოპოზიციის შტაბზე სასტუმრო თბილისში. მაგრამ უკუგდებული იქნენ. როგორც შეგვატყობინეს, საბრძოლო მოქმედებისას ოპოზიციის მხრიდან დაიღუპა სამი და დაიჭრა თექვსმეტი გვარდიელი. ჩვენი თხოვნით ჯანმრთელობის დაცვის წარმომადგენლები არაოფიციალურად, ყოველდღიურად გვაწვდიან ინფორმაციას საომარი მოქმედების შედეგად დაღუპულების და დაჭრილების შესახებ.

25 დეკემბერს გვიან ღამით შეგვატყობინეს, რომ კონფლიქტის მსვლელობისას დაღუპულია 46 და დაჭრილია 200-მდე მებრძოლი. პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა მიმართვა დსთ-ს, უცხოეთის სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მოწოდებით არ დაუშვან საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. ამ მიმართვას არც დსთ-ს და არც უცხოეთის სახელმწიფოების მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ერთადერთი გამოხმაურება ამერიკის შეეთებული შტატების ჰელსინკის ჯგუფიდან იყო. ამ ორგანიზაციის გამოხმაურებაში აღნიშნული იყო, რომ მათი მისია ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, რათა შეეგროვებინათ მასალები ადამიანის უფლებების დარღვევების თაობაზე. ამ მასალების შეგროვებამ დაადასტურა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა პრეზიდენტ გამსახურდიას მხრიდან. სიტყვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების, შეკრებების თავისუფლების მკაცრი შეზღუდვა.

რადიოსადგურმა ამერიკის ხმამ გადმოსცა ინფორმაცია, რომ ქალაქ ქუთაისში იქმნება ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალებისგან ორი ბატალიონი, რომელთა თბილისში ჩამოსვლა 16 საათისთვის არის ნავარაუდევი. ამავე წყარომ გადმოსცა ოპოზიციის განცხადება, რომ თუ მისი მოთხოვნები 17 საათისთვის არ იქნა დაკმაყოფილებული, გაძლიერდება შეტევა მთავრობის სახლზე.

სასტუმრო თბილისში სროლების შედეგად ხანძრების ორი კერა წარმოიშვა, რომლებსაც მოხალისე მეხანძრეები აქრობენ. გვიან ღამით საავადმყოფოდან შეგვატყობინეს, რომ მძიმედ დაჭრილი გვარდიელი ოპერაციის დროს გარდაიცვალა.

***— იყვნენ თუ არა შუამავლები ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის?***



— 25 დეკემბერს 18 საათზე ქალაქ ერევნიდან დაგვიკავშირდა სომხეთის პრეზიდენტის, ლევონ ტერ-პეტროსიანის თანაშემწე უშიშროების საკითხებში აშოტ მანუჩარიანი. მას შემდეგ, რაც მან დაწვრილებით გამომკითხა თბილისში შექმნილი ვითარების შესახებ, შემომთავაზა, რომ თუ იქნებოდა ორივე მხარის თანხმობა, სომხეთის პრეზიდენტის სპეციალური დავალებით თბილისს ეწვეოდა სომხეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც დაევალებოდა საშუამავლო მისიის შესრულება. ჩვენგან ამ წინადადებაზე სრული თანხმობა იქნა მიცემული.

25 დეკემბერს 18 საათზე თბილისის აეროპორტიდან შეგვატყობინეს, რომ ქალაქ გროზნოდან თბილისის მიმართულებით მოფრინავს ტუ-134 მარკის თვითმფრინავი. დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ სპეციალური რეისით მოფრინავს დაახლოებით 35 შეიარაღებული პირი. როგორც ჩანს, ეს შეიარაღებული რაზმი მოფრინავდა ზვიად გასახურდიასთვის დასახმარებლად. როგორც გვითხრეს, თვითმფრინავის თბილისის აეროპორტში დაჯდომა სავარაუდოდ, 40 წუთში იყო მოსალოდნელი.

სასწრაფოდ ჩატარებული თათბირის შემდეგ თენგიზ კიტოვანი ღებულობს გადაწყვეტილებას ჩეჩნების შეიარაღებული რაზმის აეროპორტშივე განიარაღების თაობაზე. აღნიშნული ოპერაციის ჩასატარებლად აეროპორტში გაიგზავნა გვარდიელთა რაზმი გია ყარყარაშვილის და გია გულუას ხელმძღვანელობით. აეროპორტიდან შეგვატყობინეს, რომ მცირე შეტაკების შემდეგ ჩეჩნების შეიარაღებული რაზმი მთლიანად განიარაღებულია. მსხვერპლი არ ყოფილა.

20 საათსა და 45 წუთზე სასტუმრო თბილისში მოგვიყვანეს აეროპორტში დაკავებული ჩეჩნები. მოიტანეს ჩამორთმეული იარაღიც. 22 კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, 8 მაკაროვის სიტემისა და ერთი სტეჩკინის სისტემის რევოლვერი. გაირკვა, რომ დაკავებულების შემადგენლობაში იყვნენ ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შამილ შამო და ჩეჩნეთის პარლამენტის ორი დეპუტატი. მათ ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ თბილისში ჩამოფრინდნენ დაპირისპირებულ მხარეთა შორის საშუამავლო მისიის შესასრულებლად. ცხადია, თუ იქნებოდა ამაზე ორივე მხარის თანხმობა. ჩეჩნების ვერსია ძნელად დასაჯერებელია. თუ ისინი მართლა საშუამავლო მისიის შესასრულებლად ჩამოფრინდნენ, ეს საკითხი წინასწარ უნდა შეეთანხმებინათ ოპოზიციასთანაც და მეორეც, შეიარაღებულები არ უნდა ყოფილიყვნენ. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ სიტუაცია არ გაგვემწვავებინა და ჩვენი მხრიდან მივეცით მანდატი საშუამავლო მისიის შესრულებაზე სისხლისღვრის შეწყვეტისა და მოლაპარაკების დაწყების მიზნით.

22 საათზე და 30 წუთზე ჩეჩნეთის დელეგაცია ბუნკერში გაემგზავრა ზვიად გამსახურდიასთან შესახვედრად. დაახლოებით ორი საათის შემდეგ დელეგაცია დაბრუნდა სასტუმრო თბილისში. შამილ შამომ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის და საუბრის შინაარსი გაგვაცნო. მისი თქმით, გამსახურდია დარწმუნებულია, რომ ახალ წლამდე გაანადგურებს ოპოზიციას და ამიტომ არავითარ მოლაპარაკებებზე წასვლას არ აპირებს. ამრიგად ჩეჩნების დელეგაციის მცდელობა სამშვიდობო მისიის შესრულებისა, უშედეგოდ დამთავრდა. შეხვედრიდან დაბრუნებული დელეგაციის წევრები გალიზიანებულები იყვნენ. მაგრამ გალიზიანების მიზეზს არ ამხელდნენ. მოგვიანებით ბუნკერიდან გამოსულმა ერთ-ერთმა პიროვნებამ სხვა ინფორმაციასთან ერთად შეგვატყობინა, რომ მათთვის შეურაცხყოფაც კი მიუყენებიათ აეროპორტში მათ განიარაღებასთან დაკავშირებით.

შამილ შამომ დასვა საკითხი იმ იარაღის დაბრუნების შესახებ, რომელიც მათ თბილისის აეროპორტში ჩამოართვეს. ჩვენ დავპირდით, რომ აღნიშნულ იარაღს უკლებლივ უახლოეს დროში ჩავუტანდით ქალაქ გროზნოში. ისინი კი თავიანთი თვითმფრინავით ხვალვე უიარაღოდ უნდა გაფრენილიყვნენ ჩეჩნეთში. ჩვენი დანაპირები შევასრულეთ.

რამდენიმე დღეში სპეცრეისით იარაღი გროზნოში გავაგზავნეთ. თუმცა ერთი ერთეულით ნაკლები. სტეჩკინი უკვალოდ გაქრა. მოგვიანებით ერთ-ერთმა გვარდიელმა აღიარა, რომ სტეჩკინი მან დაიტოვა.

გვიან ღამით ჩეჩნეთის დელეგაცია ვავახშმეთ და მოვასვენეთ. ხოლო მეორე დღეს, ე.ი. 26 დეკემბერს 11 საათზე ისინი გროზნოში გაფრინდნენ.

## კალეიდოსკოპი

### ოთხი თვის ბავშვი ქარბორბალამ აიტაცა და გადარჩა



აშშ-ში ქარბორბალამ სახლი დაანგრია და ოთხი თვის ბავშვი მამასთან ერთად ჰაერში აიტაცა.

ტენესის შტატის ქალაქ კლარკსვილში ქარბორბალა თავს დაატყდა გადასატან სახლს, რომელშიც ცოლ-ქმარი თავის ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა. დედის, 22 წლის სიდნი მურის თქმით, ის უფროს, ორი წლის შვილთან ერთად საძინებელ ოთახში იმყოფებოდა, როდესაც ქარის ხმაური შემოესმა. მან ბავშვთან მიირბინა და ზევიდან გადაეფარა.

— სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბავშვს ზევიდან გადავეფარე, სახლის კედლები დაიშალა, – იხსენებს ქალი.

მურის მეუღლე იმ დროს სასტუმრო ოთახში ოთხი თვის შვილთან ერთად იმყოფებოდა. ქარბორბალამ სახლს სახურავი ახადა, შემდეგ კი ჰაერში აიტაცა სარწეველა, რომელშიც ოთხი თვის ბიჭი იწვა, მამამ ბავშვისკენ გაიწია და ისიც ქარბორბალამ შეითრია.

— მას სარწეველასთვის ხელი არ გაუშვია. მისი თქმით, ის ქარბორბალამ ჯერ დაატრიალა, შემდეგ კი მოისროლა, – ამბობს მური.

მამაკაცი მიწაზე დაენარცხა და მიხვდა, რომ ბავშვი მხედველობის არიდან დაკარგა. ცოლ-ქმარი დაახლოებით 10 წუთი ეძებდნენ დაკარგულ ბავშვს შემოგარენში. ქალის თქმით, ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ ბიჭი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ საბედნიეროდ მისი შიში არ გამართლდა. მალე მან იპოვა ბავშვი. ის კოკისპირულ წვიმაში წაქცეულ ხეზე იწვა. ამ შემთხვევას ოჯახის ყველა წევრი მხოლოდ მსუბუქი ნაკაწრებით გადაურჩა.

### ღვთისმსახურის კომპიუტერში ბავშვთა პორნოგრაფია აღმოაჩინეს



აშშ-ში ღვთისმსახური გისოსებს მიღმა აღმოჩნდა საკუთარ კომპიუტერში ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვისთვის.

68 წლის ჯეიმს ჯექსონის მიმართ გამოძიება 2021 წლის სექტემბერში დაიწყო. იმ დროს ის როდ-აილენდის შტატის ქალაქ პროვიდენსის კათოლიკურ ეკლესიაში მსახურობდა. პოლიციამ დაადგინა, რომ იმ მისამართიდან, რომელიც სამრევლო სახლს ეკუთვნოდა და რომელშიც ჯექსონი ცხოვრობდა, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების გაცვლა ხორციელდებოდა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ჩხრეკა ჩაატარეს ღვთისმსახურის საძინებელში, რომლის დროსაც მის კომპიუტერში და კიდევ ერთ ციფრულ მოწყობილობაში 12 ათასზე მეტი გამოსახულება და 1,3 ათასი ბავშვთა პორნოგრაფიის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ნახეს. ჯექსონი დააპატიმრეს და მან აღიარა, რომ იწერდა და ინახავდა ათასობით ისეთ მასალას, რომლებიც ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასთან იყო დაკავშირებული. მას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

### მამაკაცმა მომგებიანი ლატარიის ბილეთი კინაღამ გადააგდო



ამერიკის მიჩიგანის შტატში მამაკაცმა ლატარიის ბილეთი შეიძინა და კინაღამ მოგების გარეშე დარჩა.

29 წლის მამაკაცმა გადაწყვიტა, ლატარიის გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა და 20 დოლარად ღირებული ლატარიის ბილეთი შეიძინა. მან ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა, მოგება ვერ აღმოაჩინა და ის სხვა, ასეთივე ადრე ნაყიდ ბილეთებთან ერთად თავისი სატვირთო მანქანის ხელსაწყოთა დაფის უჯრაში ჩააგდო. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ მამაკაცს მეუღლემ ლატარიის ბილეთების შემოწმება სთხოვა. მამაკაცმა გადაწყვიტა, მანქანაში ჩაყრილი ბილეთებიც შეემოწმებინა. როდესაც მან ერთ-ერთი ბილეთი, რომელსაც მოუგებლად მიიჩნევდა, მაღაზიაში შეამოწმა, მიიღო შეტყობინება თხოვნით, მიემართა ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებისთვის. მან კიდევ ერთხელ დაკვირვებით დახედა ლატარიის ბილეთს და აღმოაჩინა, რომ მის ბილეთს ორი მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული.

მამაკაცის აღიარებით, მისი მომგებიანი ბილეთი სასწაულებრივად გადაურჩა სანაგვე ურნაში გადაგდებას.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მოგებული თანხით რაიმე მნიშვნელოვანი შენაძენის გაკეთებას არ აპირებს და მას სამომავლოდ ოჯახის საჭიროებისთვის გამოიყენებს.

### სკოლაში მყოფ მოსწავლეებს მეხი დაეცათ



კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეხი იმ დროს დაეცა სკოლას, როდესაც იქ მოსწავლეები იმყოფებოდნენ.

12 დეკემბრის დილას, იტურის პროვინციის ბუკირინგის დასახლებაში გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, მოსწავლეები საკლასო ოთახს ალაგებდნენ, როდესაც მეხი ჩამოვარდა და 18 მათგანი დააშავა. შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მისულმა ექიმებმა ხუთი ბავშვის, ორი გოგონას და სამი ბიჭის გადარჩენა ვერ შეძლეს. პროვინციის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ჩინოსანმა მომხდარი ფაქტი დაადასტურა. მისი თქმით, პროვინცია განსაკუთრებით წვიმების სეზონის დროს ზარალდება. ამ დროს სკოლები და სხვა ნაგებობები ხშირად ინგრევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ბაიდენი: „ემიგრანტების უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია“



აშშ-ის პრეზიდენტი ბადენი აშშ-დან ჩინეთში ემიგრაციის შეზღუდვის შესახებ კანონის მიღების წლისთავზე სიტყვით გამოვიდა.

აღნიშნული კანონი 1832 წელს მიიღეს. ის აშშ-ში ჩინეთიდან მასობრივი მიგრაციის წინაალმდეგ იყო მიმართული.

აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, ემიგრანტების უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია.

# აშშ-ის სენატში კონსენსუსს მიაღწიეს?!



აშშ-ის სენატში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის კონსენსუსს მიაღწიეს. ამის თაობაზე იუწყება გამოცემა „ბილდტი“.

აღნიშნული შეთანხმება პირდაპირაა დაკავშირებული აშშ-ის მიერ უკრაინისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფასთან. რესპუბლიკური პარტიის წევრების უმრავლესობა ამაზე თანახმაა, ოღონდაც ერთი პირობით: სენატმა, სადაც უმრავლესობას დემოკრატები წარმოადგენენ, უნდა მიიღოს კანონი აშშ-მექსიკის საზღვრის დაცვის გაძლიერების შესახებ.

„ბილტის“ ცნობით, ყინული თითქოს დაიძრა. ამავე დროს რესპუბლიკელთა ნაწილი აცხადებს, რომ შეთანხმება მეტისმეტად რბილია.

# აშშ-ის კონგრესმა თავდაცვითი ბიუჯეტი მიიღო

აშშ-ის კონგრესმა 2024 წლის თავდაცვითი ბიუჯეტი მიიღო. ის 887 მილიარდი დოლარია. ხსენებული ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტზე 24 მილიარდით მეტია.

– აშშ თავდაცვის ხარჯებს შემთხვევით არ ზრდის. ეს მსოფლიოში დაძაბულობის ფონზე ხდება. დაძაბულობას კი რუსეთი ქმნის, – მიიჩნევს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი სვიტანი.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.783; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.752; არტილერია – 8.175; თვითმფრინავები – 324.

განადგურებულია 347.180 ოკუპანტი.

დანაკარგებით გაბოროტებულმა რუსებმა უკრაინა კვლავ დაბომბეს. დაიბომბა ქალაქები კიევი, ოდესა, დნეპრი, ხერსონი და ნიკოლაევი.

უკრაინელები მტერს ვალში არ დარჩნენ. მათ დაარტყეს კურსკს, ბელგოროდს, დონის როსტოვს და კრასნოდარს. როსტოვში უკრაინული დრონით განადგურებულია სამხედრო ავიობაზა. არის მსხვერპლი რუს სამხედროებს შორის.

# ვინ უსმენდა გენერალ ზალუჟნის?



გამოცემა „რბკ უკრაინის“ ცნობით, უკრაინული არმიის სარდლის, გენერალ ზალუჟნის კაბინეტში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. უკრაინის უშიშრების სამსახურმა (სბუ) მცირედი შესწორება შეიტანა ამ ცნობაში:

– მოსასმენი აპარატურა არა ზალუჟნის კაბინეტში, არამედ უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს ახლოს აღმოაჩინეს! ზალუჟნის კაბინეტის მიყურადებაც ტექნიკურად შესაძლებელი იყო, – ნათქვამია უკრაინის უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

# ისრაელმა ღაზას სექტორში მძევლები აიყვანა

ისრაელმა ღაზას სექტორში 1.000-მდე მძევალი აიყვანა. ამის შესახებ განაცხადა ისრაელის არმიის გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ჰერცი გელევსმა.

– როცა ჩვენი მეომრის წინ მტრის ჯარისკაცი ხელებაწეული დგას, ჩვენ მას კი არ ვესვრით, არამედ ვატყვევებთ, – თქვა გელევსიმ.

# ბელორუსში რუსული არმიის დამატებით ქვედანაყოფები შეიყვანეს

ბელორუსში რუსული არმიის დამატებითი ქვედანაყოფები შეიყვანეს. ამის შესახებ იტყობინება აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი. რუსი ჯარისკაცების რაოდენობა 1.840 ითვლის, – წერს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# უსახლკაროთა თავშესაფარში უნიკალური ბოტასები იპოვეს



აშშ-ში, უსახლკაროთა თავშესაფრისთვის განკუთვნილი შემოწირულობების დახარისხების დროს, უნიკალური ბოტასები იპოვეს.

ყოფილი პორტლენდელი უხალკარო, ამჟამად კი საქველმოქმედო ფონდის ერთ-ერთი თანამშრომელი, შემოწირულობებით სავსე ყუთში არსებულ ნივთებს ახარისხებდა, როდესაც „ნაიკის“ ფირმის ოქროსფერ ბოტასებს გადააწყდა. ის აღმოჩნდა უნიკალური წყვილი ფირმის ბოტასების ხაზიდან და როგორც ოდნავ მოგვიანებით გაირკვა, ის საგანგებოდ ამერიკელი რეჟისორის, სპაიკ ლისთვის იყო დამზადებული. მისი სავარაუდო ღირებულება 20 ათასი დოლარია. კომპანია „ნაიკის“ დიზაინერმა ტინკერ ჰეტფილდმა ეს მოდელი 2019 წელს საგანგებოდ იმისთვის შექმნა, რომ მასში გამოწყობილი ლი „ოსკარის“ დაჯილდოებაზე გამოსულიყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნაპოვნი ბოტასები რეჟისორს არ ცმია. რამდენიმე წყვილი კომპანია „ნაიკმა“ მას საჩუქრად გადასცა მისი ახლობლებისთვის დასარიგებლად.

ჰეტფილდი პირადად ეწვია უსახლკაროთა თავშესაფარს და ნაპოვნი ბოტასების ნამდვილობა დაადასტურა. მან ასევე ავტოგრაფი დატოვა ბოტასების კოლოფზე და „პორტლენდის სამაშველო მისიას“ ნაიკის სხვა ნაწარმიც აჩუქა.

რაც შეეხება ბოტასებს, გადაწყდა, რომ ის სოტბის აუქციონზე გასაყიდად იქნება გამოტანილი. ამასთან, ნაიკმა საკომისიოზე უარი განაცხადა, ხოლო შემოსული თანხა მთლიანად „პორტლენდის სამაშველო მისიას“ გადაეცემა.

უცნობი დარჩა, თუ ვინ შეწირა უსახლკაროთა თავშესაფარს უნიკალური ბოტასები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.



# ფიფა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ფორმატს ცვლის



ამ დროისთვის ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომლის ნახევარფინალში ბრაზილიური ფლუმინენსე ეგვიპტურ ალ აჰლის შეხვდება, ხოლო მანჩესტერ სიტი – იაპონურ ურავას ეთამაშება.

ამ ფორმატით საკლუბო მუნდიალი დიდხანს არ გასტანს – ფიფამ დაადასტურა, რომ 2025 წლის ზაფხულში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ახალ ფორმატში გაიმართება.

ტურნირში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უმასპინძლებს, მონაწილეობას ექვსი რეგიონის 32 გუნდი მიიღებს. კვოტები კონტინენტების მიხედვით უკვე განაწილდა: ევროპა (12 გუნდი); სამხრეთ ამერიკა (6); აზია (4); აფრიკა (4); ჩრ. და ცენტრალური ამერიკა (4); ოკეანეთი (1); მასპინძელი (1);

ამ 32 მონაწილედან 19 კლუბის ვინაობა უკვე ცნობილია: სიტი, ჩელსი, რეალი, ბაიერნი, ინტერი, პსჟ, პორტუ, ბენფიკა (ევროპა); ალ აჰლი, ვიდადი (აფრიკა); ალ ჰილალი, ურავა (აზია); სიეტლი, მონტერეი, ლეონი (ჩრ. და ცენტრალური ამერიკა); ოკლენდი (ოკეანეთი); პალმეირასი, ფლამენგო, ფლუმინენსე (ს.ამერიკა);

მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება. 32 გუნდი რვა ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდება, საიდანაც 2-2 საუკეთესო მერვედფინალიდან გააგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

ახალი ფორმატით მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი 2025 წლის 15 ივნისს დაიწყება და 13 ივლისს დასრულდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტები ცნობილია




18 დეკემბერს უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა კენჭისყრა, სადაც გამოვლინდნენ მერვედფინალის წყვილები. ყველაზე საინტერესო ნაპოლი-ბარსელონას დაპირისპირებაა და ხვიჩა კვარაცხელია ამჯერად ბარსელონას წინაალმდეგ ითამაშებს.

ასევე საინტერესო იქნება ინტერი-ატლეტიკოს შეხვედრებიც. სხვა წყვილები კი ასე გამოიყურება:

ლაციო-ბაიერნი; ინტერი-ატლეტიკო; პორტო-არსენალი; ეინდჰოვენი-ბორუსია; კოპენჰაგენი-სიტი; ლაიპციგი-რეალი; ნაპოლი-ბარსელონა; პსჟ-რეალ სოსიედადი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# ბრბო ადამიანზე თავდამსხმელ დათვს გაუსწორდა



ინდოეთში დათვს ადამიანზე თავდასხმა საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ოდიშას შტატის ნაბარანგპურის რაიონში მტაცებელი ცხოველი თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც იმ მომენტში დილის განბანვის რიტუალს ასრულებდა. ბრიჯეშ კუმა გზების მშენებლობის ეროვნული პროექტის „ბხარატმალას“ ერთ-ერთი კონტრაქტორი იყო და სოფელ ბიკრამაპურ ბხატრაში ცხოვრობდა. ინდოელი ცხოველის ბრჭყალებისგან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ დათვმა ის ადგილზევე დაგლიჯა. მცირე ხნის შემდეგ დათვი ისევ გამოჩნდა სოფელში და ორ ადგილობრივ მცხოვრებს თავს დაესხა. ამის შემდეგ კი სოფლის მკვიდრთაგან შემდგარი ჯოხებით და სხვადასხვა ხელში მოხვედრილი საგნებით შეიარაღებული ბრბო მტაცებელ ცხოველს ღია ადგილზე თავს დაესხა და ანგარიში გაუსწორა. მათ დათვს ჯერ ქვები დაუშინეს, სანამ არ დააშავეს, ხოლო როდესაც ის მიწაზე დაეცა, მიუახლოვდნენ და ჯოხებით და ნიჩბებით მოუღეს ბოლო.

# დაკარგულ მოზარდს ექვსი წლის შემდეგ სხვა ქვეყანაში მიაგნეს



საფრანგეთში იპოვეს ბრიტანელი მოზარდი, რომელიც ექვსი წლის წინ გაუჩინარდა.

დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ოლდემის მკვიდრი 17 წლის ალექს ბეტი 11 წლის ასაკში იმ დროს დაიკარგა, როდესაც 2017 წლის ოქტომბერში დედასთან და პაპასთან ესპანეთში იმყოფებოდა სამოგზაუროდ. როგორც მისი ბებია და მისი კანონიერი მეურვე სიუზან კარუენი ფიქრობდნენ, დედამ და პაპამ ის მაროკოში ე.წ. „სულიერ საზოგადოებაში“ წაიყვანეს. ექვსი წლის განმავლობაში არავინ იცოდა, თუ სად იმყოფებოდა ალექს ბეტი, სანამ ის შემთხვევით სხვა ქვეყანაში არ აღმოაჩინეს.

ბიჭი ფრანგული კომუნა რეველის მახლობლად იპოვეს. ის შენიშნა სტუდენტმა, რომელიც აფთიაქიდან წამლების ადგილზე მიტანითაა დასაქმებული. როდესაც მან ბეტი ნახა, გაარკვია, რომ ის უკვე მეოთხე დღე იყო მთებში დაეხეტებოდა. სტუდენტმა ის მანქანაში ჩაისვა და საუბარი გაუბა.

ბეტის თქმით, ის დედამ მოიტაცა, როდესაც ჯერ 12 წლისაც არ იყო. ის ესპანეთში მდიდრულ სახლში ცხოვრობდა, რომელშიც მის გარდა კიდევ ათამდე ადამიანი იმყოფებოდა. მოგვიანებით ის დედასთან და პაპასთან ერთად საფრანგეთში გადაბარგდა და მომთაბარე საზოგადოებასთან ერთად უწევდა ცხოვრება. მოზარდმა აღიარა, რომ თავისი მოტაცებისთვის დედაზე არ ბრაზობდა, თუმცა, დიდ ბრიტანეთში ბებიასთან დაბრუნება სურდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მომთაბარეთა საზოგადოებიდან წამოსვლა.

ამ დროისთვის ბეტი საფრანგეთის ქალაქ ტულუზას მოზარდებისთვის განკუთვნილ სოციალურ-სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფება და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩასვლას ელის სამშობლოში დასაბრუნებლად. სამართალდამცავები მოზარდის დედასა და პაპას ეძებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

**ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.**

# თსუ-მ დელტა დაამარცხა და პოტენციური ლიდერია

**თსუ-დელტა 66:60**
**(23:26; 20:8; 13:12; 10:14)**

მართალია, თსუ ლიდერთა სამეულში არ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ევროპის თასზე ასპარეზობისას რამდენიმე თამაში გადაედო და ყველაზე ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული, ამ თამაშამდე თსუ და დელტა დაკარგული ქულებით ჩემპიონატის ლიდერები იყვნენ – ორივეს მხოლოდ 2 წაგება ჰქონდათ და მათ დაპირისპირებას უნდა გადაეწყვიტა, ვინ იქნებოდა ამ კომპონენტში სუპერლიგის ლიდერი.

მატჩი გურჯაანელთა ლიდერობით დაიწყო. ირაკლი ხოშტარიას განვრთნილმა გუნდმა თავიდანვე მოიპოვა ლიდერობა – 20:10 დაწინაურდა, რაც უმეტესწილად თსუ-ს შეცდომებით იყო განპირობებული. ორივე გუნდი დაცვას მეტ ყურადღებას აქცევდა და ეს საბოლოო შედეგზეც აისახა. თუმცა, სანამ მატჩი დასრულებამდე მივიდოდა, თსუ-მ გარდატეხა მოახდინა და ზემოთ ნახსენები ჩამორჩენა ჯერ გააბათილა, მეორე პერიოდში კი დაწინაურდა კიდეც.

პირველი პერიოდი გურჯაანელებმა 26:23 მოიგეს, რის შემდეგაც თსუ-ს ჯერი დადგა. გიორგი ცინცაძემ, ალექსანდრე ფევაძემ, გიორგი ტურძილაძემ და კახა ჯინჭარაძემ ქულები უხვად მოიხვეჭეს და მეორე ათწუთეული ლექსო ლაფანაშვილის განვრთნილმა სტუდენტებმა 20:8 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის უნივერსიტეტელები 9 ქულით (43:34) იგებდნენ, რასაც მესამე პერიოდში ქულა დაუმატეს და 56:46 დასკვნითი პერიოდის წინ.

გურჯაანელებმა სცადეს, თამაში გადაერჩინათ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ჩამორჩენის 4 ქულამდე (52:56) შემცირება იყო. საბოლოოდ თსუ-მ საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა – 66:60.

ლაფანაშვილის განვრთნილ გუნდში საუკეთესო შედეგი ალექსანდრე ფევაძემ აჩვენა, რომელმაც 17 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა; 14 ქულა და 9 მოხსნა ჰქონდა კახა ჯინჭარაძეს; ხოლო გიორგი ტურძილაძემ შეხვედრა 12 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა; გურჯაანში 11 ქულითა და ამდენივე მოხსნით საუკეთესო ჯარვის რეი იყო; ტერი კოლინსმა კი 13 ქულა მიითვალა.

**გაუ-ივერიონი 94:98 (ოტ)**
**(18:30; 25:11; 14:20; 29:25; 8:12)**

გაუ-მ გორის ივერიონს უმასპინძლა და ახლოს იყო მე-6 გამარჯვებასთან, რომლის მოსაპოვებლად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ოვერტაიმში არ გაუმართლა და 94:98 დამარცხდა.

სტუდენტები მატჩის ბოლო წუთზე 5 ქულით აგებდნენ, მაგრამ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, გაუს ორი სამქულიანი ბოლო 5 წამში რომ არ ჩაეგდო.

ყველაფერი ასე მოხდა: რიკარდო ლინჩის ორიდან ერთი ზუსტი საჯარიმოთი ივერიონი 84:80 დაწინაურდა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, რადგან სირენამდე 9 წამი რჩებოდა.

გაუ-მ სწრაფად შეუტია და ნიკოლოზ თოთლაძემ ძირითადი დროის დასრულებამდე 5.4 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო. დავით როგავას გუნდმა იქვე ტაქტიკური ჯარიმა აილო და 4.2 წამით ადრე რიკარდო ლინჩი ისევ საჯარიმოს ხაზზე დადგა. ამჯერად მან ორივე სროლა ჩააგდო და გორელები 86:83 დააწინაურა. გაუ-ს წუთშესვენება ალარ ჰქონდა და ბურთი საკუთარი ფარის ქვევიდან გამოიტანა, რომელიც თევის სმიტმა მიიღო და 4.2 წამში მოედნის გადაკვეთა და უხერხული სიტუაციიდან გამთანაბრებელი სამიანის სროლა მოასწრო. ბურთი მის თითებს რომ მოსწყდა, სირენა გაისმა, რომელიც არა მატჩის, არამედ მე-4 პერიოდის დასრულების მაუწყებელი აღმოჩნდა.

ბურთი კალათში ჩაეშვა და ოვერტაიმიც დაინიშნა. იქაც თითქმის ანალოგიური სცენარი გათამაშდა. ლინჩმა საჯარიმოებით ოვერტაიმის ამოწურვამდე 11 წამით ადრე 3 ქულით დააწინაურა ივერიონი, თუმცა მიქაელ უგრეხელიძემ, რომელმაც ძირითად დროში არაერთი უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო, ამჯერად სამქულიანი ააცილა და ლინჩმა 2-დან 1 საჯარიმოთი ივერიონი ამჯერად მართლაც მიუწვდომელი გახადა.

ლინჩი მატჩის გმირი გახდა, პლუს 39 ქულით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დააფიქსირა. 39 ქულით. ლინჩმა ქულებს 15 მოხსნაც მიაყოლა და მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა; 16 ქულა და 11 მოხსნა გეგი ბაქრაძემ მიითვალა; გივი ბაქრაძის ანგარიშზე კი, 10 ქულა და 14 პასი დაგროვდა; გაუ-ში 32 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ენდრიუ ლუისი; 14-14 ქულა აიზია სმოლმა (15 მოხსნასთან ერთად) და მიქაელ უგრეხელიძემ მიითვალეს.

**მარგვეთი-ბათუმი 76:80**
**(21:21; 21:23; 18:19; 16:17)**

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის განვრთნილ ზესტაფონელებს მიმდინარე სუპერლიგაში ყველაზე ცოტა – 2 მოგება აქვთ და, ცხადია, გუნდი კრიზისიდან გამოსასვლელ გზებს ეძებს. მორიგი შანსი ბათუმთან დაპირისპირება იყო, რომელიც მარგვეთმა ვერ გამოიყენა.

თანაბარი, დაძაბული მატჩის ბედი ბოლო წამებზე გაირკვა. ბოლო წუთზე



ანგარიში თანაბარი იყო. ტაიშონ კროუფორდის ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, ძირითადი დროის დასრულებამდე 50 წამით ადრე, ანგარიში 76:76 გახდა. ბათუმელთა ლიდერმა რევაზ როგავამ ორქულიანი მალევე ჩააგდო და ზღვისპირელები 78:76 დააწინაურა. საკვანძო გამოდგა ლუკა კალატოზიშვილის ჩაჭრა, რომელმაც ბურთი ზესტაფონელთა მთავარ მექულეს, მაიკლ მეისს აართვა. ზესტაფონელებმა თავი ჯარიმის გარეშე ვერ დაიცვეს და როგავა საჯარიმოს ხაზზე დადგა – ორივე ზუსტი სროლა და დარჩენილ 12 წამში 4 ქულით დაწინაურებული ბათუმი მიუწვდომელი გახდა.

საბოლოოდ, ბუბა ბერიშვილის განვრთნილმა ბათუმმა 80:76 იმარჯვა და მიმდინარე სუპელრიგაში მე-5 გამარჯვება მოიპოვა.

ზღვისპირელებს 26 ქულით რევაზ როგავამ ულიდერა; ოთარ ბულიავამ 13 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა; 15 ქულა და 7 მოხსნა კალატოზიშვილის ანგარიშზეა; მარგვეთში 24 ქულით, 12 მოხსნითა და 4 დაფარებით ტაიშონ კროუფორდი გამოირჩა; მარტი ჯექსონმა 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

**რუსთავი-კავკასია 85:69**
**(20:26; 22:13; 16:19; 27:11)**

რუსთაველთა ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერია დასრულდა. ანატოლი ბოისას განვრთნილმა ქვემო ქართლის გუნდმა კავკასია 85:79 დაამარცხა და, როგორც იქნა, საკუთარი გულშემატკივარი გამარჯვებით გაახარა.

რუსთავში სათამაშოდ ჩასულმა კავკასიამ კი, პირიქით – სამმატჩიანი წარმატებული სერია შეწყვიტა. სეზონის 3 წაგებით დაწყების შემდეგ კავკასიამ მოგებებს უხშირა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ბექა წივწივაძის გუნდი რუსთავში მოგებ-წაგებების თანაბარი რაოდენობით (4-4) ჩავიდა, მასპინძლებს კი 3 მოგების წილ 5 მარცხი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, გუნდები ცხრილში ახლოს იყვნენ და მოგება ორივეს ჰაერივით ესაჭიროებოდა.

ბრძოლაც შესაბამისად უშელავათო გაჩაღდა. კავკასიას აკლდა ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, რომელმაც წინა მატჩში დისკვალიფიკაცია მიიღო და სანქციად ერთი მატჩის გამოტოვება დაუწესდა. თავის მხრივ, რუსთაველებსაც არანაკლები დანაკლისი ჰქონდათ – ჯორდან ჰენდერსონი. კავკასიელები ტოლს არაფერში უდებდნენ მეტოქეს და პირველი მეოთხედი 26:22 მოიგეს. მეორედან კი მასპინძლებმა მეტოქის დაცვას გასაღები მოარგეს, ლიდერობა მოიპოვეს და დიდ შესვენებამდე 3-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 42:39.

მესამე პერიოდი კავკასიელებმა ზუსტად 3 ქულით მოიგეს და ბოლო პერიოდიდან, ფრე ანგარიშით ყველაფერი თავიდან [illegible] ულში მასპინძლებმა მეტოქე [illegible], რაც, ცხადია, გუნდური ძალისხმევით განხორციელდა. თუმცა, აღსანიშნავია ანზორ ნადირაძის უხვქულიანობა, რომელმაც საკვანძო ეპიზოდში 7 ქულა ჩააგდო. ნადირაძეს ლუკა ბულაშვილი და ლევან ბაბილოძე შეეშველა და მასპინძელთა ლიდერობამ მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 10 ქულას გადააჭარბა.

მატჩი ისე დასრულდა, ვითარება აღარ დაძაბულა. რუსთავმა გაიმარჯვა და მოგებ-წაგებებით კავკასიას გაუთანაბრდა.

გამარჯვებაში ლომის წილი ბულაშვილმა დაიდო, რომელმაც 29 ქულა, 6 მოხსნა დ 5 პასი მოაგროვა; 15 ქულა ჩააგდო ლევან ბაბილოძემ; ანზორ ნადირაძემ და თაჯეი თიგმა 14-14 ქულა მიითვალეს; კავკასიელთაგან ყველაზე მეტი – 14 ქულა ლევან გოგიჩაიშვილმა მოაგროვა; 10 ქულა და 8 მოხსნა ჯეილენ სმიტის ანგარიშზეა.

**რაში-ორბი 79:91**
**(18:19; 22:23; 20:25; 19:24)**

ერთმანეთს ორი დებიუტანტი გუნდი – თბილისის რაში და ტყიბულის ორბი დაუპირისპირდნენ. დებიუტანტის სტატუსის გარდა ამ გუნდებს შორის მატჩის პრინციპულობა სატურნირო ვითარების გათვალისწინებითაც განისაზღვრებოდა. ორივე გუნდს 3 მოგება და 5 მარცხი ჰქონდა. შესაბამისად, ცხრილშიც გვერდიგვერდ იყვნენ და გამარჯვებით მიღებული ხეირი საკმაოდ სოლიდური იქნებოდა.

მატჩიც დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით, მისი პირველი ნახევარი, რომელიც სტუმრებმა 42:40 მოიგეს. დიდი შესვენების შემდეგ ტყიბულის გუნდის წევრები კიდევ უფრო მოტივირებულები, უფრო მეტად შემართულები დაბრუნდნენ მოედანზე. ირაკლი ტომარაძემ ტაქტიკა შეცვალა და ტყიბულელებმა პრესინგის ზღვარზე დაცვა დააყენეს. ძალიან მჭიდრო და გაუვალი. თავად ორბი კი კონტრშეტევებზე გადაერთო, შორი სროლის შანსი თუ მიეცემოდათ, არც სამქულიანებს ერიდებოდნენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტში რაშის კალათბურთელები უფრო ჩუბინობდნენ. საბოლოო ჯამში, რაშმა ორბზე ოთხით მეტი სამქულიანი ჩააგდო.

ორბმა მესამე პერიოდი 25:20 მოიგო და გადამწყვეტ ათწუთეულს 7-ქულიანი ლიდერობით შეხვდა. ბოლო წუთებში, როცა შეხვედრის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო და თამაშის მაქსიმალური დაძაბვა იყო მოსალოდნელი, ორბის კალათბურთელებმა ისე ითამაშეს, რომ გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდნენ. რაიან ჰოლანდმა, სოსო გოგნაძემ და მიხეილ ჭოჭუამ ბოლო პერიოდის შუაწელში მოგროვებული ქულებით ორბის უპირატესობა გაზარდეს და მატჩის ბედიც გაარკვიეს. საბოლოოდ, ორბმა 91:67 გაიმარჯვა და მიმდინარე სუპერლიგაში მე-4 გამარჯვება მოიპოვა

ტყიბულის გუნდს 23 ქულითა და 12 მოხსნით ჯონ ნეიგლიმ ულიდერა; 16 ქულა მიითვალა რაიან ჰოლანდმა; კენი კუპერის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა; რაშის მხრიდან სანდრო სანაძეს 32 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა ჰქონდა; 17 ქულა ვახტანგ გაფრინდაშვილს დაუგროვდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## 17 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ბრაიტონი ........ 2:0
ბრენტფორდი-ასტონ ვილა ........ 1:2
ვესტ ჰემი-ვულვზი ........ 3:0
ლივერპული-მანჩესტერი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 17 | 12 | 3 | 2 | 35-15 | 39 |
| 2.ლივერპული | 17 | 11 | 5 | 1 | 36-15 | 38 |
| 3.ასტონ ვილა | 17 | 12 | 2 | 3 | 37-21 | 38 |
| 4.სიტი | 17 | 10 | 4 | 3 | 40-20 | 34 |
| 5.ტოტენჰემი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-23 | 33 |
| 6.ნიუკასლი | 17 | 9 | 2 | 6 | 36-21 | 29 |
| 7.მანჩესტერი | 17 | 9 | 1 | 7 | 18-21 | 28 |
| 8.ვესტ ჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 29-30 | 27 |
| 9.ბრაიტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 33-30 | 26 |
| 10.ჩელსი | 17 | 6 | 4 | 7 | 28-26 | 22 |
| 11.ფულემი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-29 | 21 |
| 12.ბრენტფორდი | 17 | 5 | 4 | 8 | 24-24 | 19 |
| 13.ვულვზი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-29 | 19 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-30 | 19 |
| 15.კრ.პალასი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-25 | 17 |
| 16.ევერტონი | 17 | 8 | 2 | 7 | 22-20 | 16 |
| 17.ნოტინგემი | 17 | 3 | 5 | 9 | 17-30 | 14 |
| 18.ლუტონი | 16 | 2 | 3 | 11 | 17-32 | 9 |
| 19.ბარნლი | 17 | 2 | 2 | 13 | 16-36 | 8 |
| 20.შეფილდი | 17 | 2 | 2 | 13 | 12-43 | 8 |

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-სტოკი ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-კიოლნი ........ 2:0
ლევერკუზენი-აინტრახტი ........ 3:0
ბაიერნი-შტუტგარტი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 15 | 12 | 3 | 0 | 42-12 | 39 |
| 2.ბაიერნი | 14 | 11 | 2 | 1 | 47-14 | 35 |
| 3.ლაიფციგი | 15 | 10 | 2 | 3 | 37-16 | 32 |
| 4.შტუტგარტი | 15 | 10 | 1 | 4 | 34-19 | 31 |
| 5.დორტმუნდი | 15 | 7 | 5 | 3 | 29-24 | 26 |
| 6.ფრაიბურგი | 15 | 7 | 3 | 5 | 19-23 | 24 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 15 | 7 | 2 | 6 | 29-27 | 23 |
| 8.აინტრახტი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-19 | 21 |
| 9.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 1 | 8 | 19-25 | 19 |
| 10.აუგსბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 24-28 | 18 |
| 11.გლადბახი | 15 | 4 | 5 | 6 | 30-33 | 17 |
| 12.ჰაიდენჰაიმი | 15 | 5 | 2 | 8 | 22-30 | 17 |
| 13.ბოხუმი | 15 | 3 | 7 | 5 | 18-29 | 16 |
| 14.ვერდერი | 15 | 4 | 3 | 8 | 22-29 | 15 |
| 15.კიოლნი | 15 | 2 | 4 | 9 | 10-26 | 10 |
| 16.უნიონი | 14 | 3 | 1 | 10 | 15-31 | 10 |
| 17.მაინცი | 15 | 1 | 6 | 8 | 12-27 | 9 |
| 18.დარმშტადი | 15 | 2 | 3 | 10 | 17-38 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-კაიზერი ........ 2:1
კარლსრუე-ელვერსბერგი ........ 3:2

**კარსრუეს მე-2 გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა**

ზ.პაული-ვისბადენი ........ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალმერია-მალიორკა ........ 0:0
სოსიედადი-ბეტისი ........ 0:0
ლას პალმასი-კადისი ........ 1:1
რეალი-ვილიარეალი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 17 | 13 | 3 | 1 | 38-11 | 42 |
| 2.ხირონა | 16 | 13 | 2 | 1 | 38-20 | 41 |
| 3.ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 31-19 | 35 |
| 4.ატლეტიკო | 16 | 11 | 1 | 4 | 32-16 | 34 |
| 5.ბილბაო | 17 | 9 | 5 | 3 | 33-19 | 32 |
| 6.სოსიედადი | 17 | 8 | 6 | 3 | 29-18 | 30 |
| 7.ბეტისი | 17 | 6 | 9 | 2 | 19-17 | 27 |
| 8.ხეტაფე | 17 | 6 | 7 | 4 | 21-20 | 25 |
| 9.ლას პალმასი | 17 | 7 | 4 | 6 | 15-14 | 25 |
| 10.ვალენსია | 17 | 5 | 5 | 7 | 18-22 | 20 |
| 11.რაიო | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 12.ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 13.ალავესი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 14.ვილიარეალი | 17 | 4 | 4 | 9 | 23-33 | 16 |
| 15.მალიორკა | 17 | 2 | 9 | 6 | 14-20 | 15 |
| 16.კადისი | 17 | 2 | 8 | 7 | 14-24 | 14 |
| 17.სევილია | 16 | 2 | 7 | 7 | 20-24 | 13 |
| 18.სელტა | 17 | 2 | 7 | 8 | 16-25 | 13 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 5 | 11 | 20-37 | 8 |
| 20.ალმერია | 17 | 0 | 5 | 12 | 17-39 | 5 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ეიბარი ........ 1:0
ლევანტე-უესკა ........ 2:1
ამორებიეტა-სარაგოსა ........ 1:1
ფეროლი-ტენერიფე ........ 3:1

**იტალია. სერია ა**

მილანი-მონცა ........ 3:0
უდინეზე-სასუოლო ........ 2:2
ფიორენტინა-ვერონა ........ 1:0
ბოლონია-რომა ........ 2:0
ლაციო-ინტერი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-7 | 41 |
| 2.იუვენტუსი | 16 | 11 | 4 | 1 | 24-10 | 37 |
| 3.მილანი | 16 | 10 | 2 | 4 | 29-18 | 32 |
| 4.ბოლონია | 16 | 7 | 7 | 2 | 20-12 | 28 |
| 5.ნაპოლი | 16 | 8 | 3 | 5 | 28-19 | 27 |
| 6.ფიორენტინა | 16 | 8 | 3 | 5 | 25-18 | 27 |
| 7.რომა | 16 | 7 | 4 | 5 | 28-19 | 25 |
| 8.ტორინო | 16 | 6 | 5 | 5 | 14-16 | 23 |
| 9.ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 24-18 | 23 |
| 10.მონცა | 16 | 5 | 6 | 5 | 16-17 | 21 |
| 11.ლაციო | 16 | 6 | 3 | 7 | 16-18 | 21 |
| 12.ლეჩე | 16 | 4 | 8 | 4 | 19-21 | 20 |
| 13.ფროზინონე | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 16-21 | 16 |
| 15.სასუოლო | 16 | 4 | 4 | 8 | 24-30 | 16 |
| 16.კალიარი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-29 | 13 |
| 17.უდინეზე | 16 | 1 | 10 | 5 | 14-27 | 13 |
| 18.ემპოლი | 16 | 3 | 3 | 10 | 10-28 | 12 |
| 19.ვერონა | 16 | 2 | 5 | 9 | 13-23 | 11 |
| 20.სალერნიტანა | 15 | 1 | 5 | 9 | 11-30 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

ლეკო-ტერნანა ........ 2:3

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნანტი-ბრესტი ........ 0:2
ლორიანი-სტრასბურგი ........ 1:2
მეცი-მონპელიე ........ 0:1
ტულუზა-რენი ........ 0:0
მარსელი-კლერმონი ........ 2:1
ლილი-პსჟ ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 11 | 4 | 1 | 39-13 | 37 |
| 2.ნიცა | 16 | 9 | 5 | 2 | 17-9 | 32 |
| 3.მონაკო | 16 | 9 | 3 | 4 | 31-21 | 30 |
| 4.ლილი | 16 | 7 | 7 | 2 | 20-12 | 28 |
| 5.ბრესტი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-15 | 28 |
| 6.მარსელი | 16 | 7 | 5 | 4 | 24-17 | 26 |
| 7.ლანსი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 8.რეიმსი | 16 | 7 | 2 | 7 | 21-23 | 23 |
| 9.სტრასბური | 16 | 5 | 5 | 6 | 16-21 | 20 |
| 10.ლეავრი | 16 | 4 | 7 | 5 | 16-18 | 19 |
| 11.ნანტი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-27 | 18 |
| 12.მონპელიე | 16 | 4 | 6 | 6 | 18-20 | 17 |
| 13.რენი | 16 | 3 | 7 | 6 | 20-21 | 16 |
| 14.მეცი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-24 | 16 |
| 15.ტულუზა | 16 | 2 | 8 | 6 | 14-21 | 14 |
| 16.ლიონი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-27 | 13 |
| 17.ლორიანი | 16 | 2 | 6 | 8 | 21-31 | 12 |
| 18.კლერმონი | 16 | 2 | 5 | 9 | 10-23 | 11 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-პორტიმონენშე ........ 5:2
შავიში-კასა პია ........ 1:3
ფამილიკაუ-ეშტორილი ........ 1:1
ბრაგა-ბენფიკა ........ 0:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ალმერე-ვიტესი ........ 5:0
სპარტა-ტვენტე ........ 2:2
ერაკლესი-ფეიენოორდი ........ 0:4
აიაქსი-ზვოლე ........ 2:2
ალკმაარი-პსვ ........ 0:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-გენტი ........ 2:0
სენ ჟილუა-მეხელენი ........ 1:0
ანტვერპენი-ანდერლეხტი ........ 1:1
გენკი-კორტრაიკი ........ 4:0

**შოტლანდია. ლიგის თასი ფინალი**

რეინჯერსი-აბერდინი ........ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ოფი ........ 1:0
ასტერასი-პაოკი ........ 1:4
ლამია-ვოლოსი ........ 1:2
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ........ 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სლავია ........ 2:3
სიგმა-პლზენი ........ 1:3
სპარტა-ტეპლიცე ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვინთენთური-ლოზანა ........ 1:0
ლუცერნი-ბაზელი ........ 0:1
სერვეტი-ლუგანო ........ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლოძი-ხოჟუვი ........ 1:1
ჩენსტოხოვა-კორონა ........ 1:0
ლეგია-კრაკოვია ........ 2:0

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოვლენათა თანმიმდევრული, მონაცვლეობითი განვითარების გზა; 2. ნადიმის ხელმძღვანელი; 3. მეტისმეტად თამამი, უბოდიშო გოგონა; 4. იაპონური საავტომობილო კომპანია; 7. ქართველი მხატვარი, პრიმიტივისტი; 8. ცნობილი ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი მამაკაცი; 12. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. მათემატიკის ნაწილი; 17. ნაკეთობაზე, პროდუქციაზე დაკრული სასაქონლო ნიშანი; 19. სუმოისტთა ტურნირი; 20. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი.

**თარაზულად:** 5. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 6. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 9. ისრაელის პრეზიდენტი; 10. მდინარე ყვარელში; 11. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 13. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. მდინარის, ხეობის ჩამოშლილი ნაწილი; 21. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 22. ტარზანის პერსონაჟის შემქმნელი ამერიკელი მწერალი; 23. ცხვრის ფარის მცველი დიდი ძაღლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაყვალი; 2. სვია; 3. კოლიე; 4. დრაივი; 6. ზარზუელა; 9. ლესოტო; 13. ჰარიერი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. ბიგლი; 18. ხაში; 20. ყუმი.

**თარაზულად:** 1. მისტიკა; 5. კიაზო; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. მახრა; 11. იფქლი; 12. ლისიპე; 16. მარალი; 17. ბრიხი; 19. რადა; 21. პოშეტი; 22. ალბომი; 23. კაჭიჭი; 24. ტიროლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გლობუსი; 2. ტირანა; 3. ერდოღანი; 4. გეორგიკა; 7. ცოლიკაური; 8. ტრომბონი; 12. აბრსკილი; 14. ბაბუშერა; 16. კოლაფსი; 17. ქუთაისი; 19. ლეგო; 20. ზღვა.

**თარაზულად:** 5. ღლიღვები; 6. ვირსალაძე; 9. მაჟალო; 10. ნადული; 11. ლოიდი; 13. ყბედი; 15. კაკადუ; 18. ბონდი; 21. შემოქმედი; 22. ფარღული; 23. ჰონვედი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

19 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6802

ევრო — 2.9252

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3950

100 რუსული რუბლი — 2.9563


**ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფერან ტორესმა შესაძლოა ბარსელონა დატოვოს



ბარსელონას ფორვარდი ფერან ტორესი უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და არ არის გამორიცხული, იანვარში მან ბარსელონა დატოვოს.

ტორესის თქმით, მას სურს, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყოს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. ტორესის შეძენით რამდენიმე ინგლისური გუნდია დაინტერესებული. აღსანიშნავია, რომ ფერანი ინგლისში უკვე თამაშობდა და ის მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა.

## დავიდ ალაბა წლევანდელ სეზონში ვეღარ ითამაშებს



მადრიდის რეალის ავსტრიელმა მცველმა დავიდ ალაბამ ვილიარეალთან შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო, კერძოდ კი, ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი დასრულებულია.

ალბათ უახლოეს დღეებში გაიკეთებს ოპერაციას და მას მინიმუმ 6 თვის გამოტოვება მოუწევს. რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ ალაბას ტრავმა მისი გუნდისთვის დიდი დანაკლისია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ნინო ბაშარულს თურქეთში ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა



მომღერალ ნინო ბაშარულს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და თურქეთში ოპერაცია ჩაუტარდა:

– გამოკვლევები ჩავიტარეთ. როგორც უკვე გითხარით, მე მაქვს თანდაყოლილი ფილტვის მანკი, ფილტვის სეკვესტრაცია, რომელიც ძალიან იშვიათია ფილტვის დაავადებებში. საჭიროა მანკიანი ფილტვის ნაწილის ამოკვეთა, რომ შემდგომ ჯანმრთელობის გართულებას ავარიდოთ თავი და ცხოვრების ხარისხი გამიუმჯობესდეს.

იქიდან გამომდინარე, რომ ფაქტობრივად რეზისტენტული გავხდი ანტიბიოტიკების მიმართ, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, ვერც ვითვლი, იმდენჯერ გადავიტანე ფილტვის ანთება და პნევმონია, ყველა ანტიბიოტიკი მოვსინჯე თითქმის, ამიტომ ჩემთვის ფაგები გახდა შეუცვლელი. აუცილებლად გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა მიიღოთ ანტიბიოტიკები არამწვავე ანთებების დროს. რატომ უნდა დავიცვათ შვილები მათგან.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, გარდა ტექნოლოგიური უპირატესობებისა, კლინიკის უძლიერესი მხარე – საექთნო გამოცდილება. კლინიკის სახელწოდება ისე მომეწონა, რომ ეგრევე დავგუგლე და აღმოჩნდა, რომ ფლორენს ნაითინგეილი იყო ექთანი რეფორმატორი, რომელმაც საექთნო საქმე ხელოვნებად აქცია. ეს იყო უზარმაზარი გამოწვევა, რადგან ომის დროს, არა მხოლოდ კვალიფიციური კადრების, არამედ აღჭურვილობისა და წამლების დეფიციტი იყო. ფლორენსი მაღალი წრის წარმომადგენელი იყო და მშობლების სურვილის წინააღმდეგ წავიდა, როცა გადაწყვიტა საკუთარი თავის ავადმყოფებისთვის მიძღვნა. მან ნულიდან დაიწყო – საავადმყოფო საფუძვლიანად გაიწმინდა და მასთან ერთად ფრონტზე მისულმა 38-მა ექთანმა დაიწყო გაჭირვებულთა მოვლა. ავადმყოფებს აბანავებდნენ, აძლევდნენ სუფთა ტანსაცმელს და კვებას, რისი წყალობითაც უფრო სწრაფად ჯანმრთელდებოდნენ. ფლორენსი ყურადღებას აქცევდა არა მხოლოდ სანიტარიულ და სამედიცინო საჭიროებებს, არამედ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებსაც.

მოკლედ, კლინიკა კარგი, ექიმები გულისხმიერი! ჩემი ოპერაცია სტამბულში ჩატარდა. ოპერაცია საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყო, მაგრამ ღვთის წყალობით და პროფესიონალი ქირურგის დახმარებით, ის წარმატებით დასრულდა. ამჯერად გავდივარ რეაბილიტაციას და თავს მახვევია უამრავი მზრუნველი ექიმი თუ ექთანი.

თანდაყოლილი ფილტვის მანკის შესახებ მხოლოდ ზაფხულში შევიტყვე. აუცილებელი გახდა ფილტვის დაავადებული ნაწილის ამოკვეთა. ალბათ გაგიჩნდებოდათ კითხვა, რაჭაში გადასახლებული რატომ აღარ ვაზიარებდი შეპირებულ ვიდეოებს, პასუხიც ესაა ჩემო ძვირფასებო.

ვნატრობ, მალე გამოჯანმრთელებას და სახლში დაბრუნებას, რომ ისევ ავმღერდე და რაც დავიწყე, ის საქმე გავაგრძელო – უამრავ ადამიანს მივცე მოტივაცია სოფელში დაბრუნების, წინაპრის კერიის გაღუღუნების.

ექიმები ძალიან გულისხმიერები არიან, მუსიკაც თავისთავად მეხმარება, ახლა მხოლოდ თქვენი იყვარული და თბილი სიტყვებილა მჭირდება სრული გამოჯანმრთელებისთვის. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში დამიდგა ჩემთვის რთულ პერიოდში, მადლიერი ვარ ყველაფრისთვის. ყველას იგზავნით სიყვარულს!

## რეზო ჩხიკვიშვილი დააჯილდოვეს



თეატრისა და კინოს მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი დააჯილდოვეს.

„პერსონა 2023“ წლის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ხელოვანს სპეციალური ჯილდო კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა.

რეზო ჩხიკვიშვილი წლებია გერმანიაში ცხოვრობს და ესენის თეატრში აქტიურად მუშაობს. როგორც მან განაცხადა, სამშობლოში დაბრუნება ძალიან უნდა და თითოეული ახალი შეთავაზება საქართველოდან, მისთვის უდიდესი სიხარულია.

## ბექა სიხარულიძის ფილმი 5 ჯილდოს მფლობელია



რეჟისორისა და მსახიობის ბექა სიხარულიძის ფილმი „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე“ ყაზახეთში, ალმაატაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე 5 ჯილდოს მფლობელი გახდა:

– ვულოცავ ჩვენი ფილმის „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე“ მთელს გუნდს საერთაშორისო კინოფესტივალებზე 5 ჯილდოს და 4 ნომინაციის მოპოვებას! ვფიქრობ, რომ ეს მომავლისთვის კიდევ უფრო მეტი წარმატების დასაწყისია!

## გიგა კობალაძემ 35 ხელოვანი საავტორო უფლებათა ასოციაციიდან გარიცხა



საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ 35 ხელოვანი ასოციაციიდან გარიცხა.

**ინფორმაცია კომპოზიტორმა დათო ევგენიძემ გაავრცელა:**

– საქართველოს ადგილი მხოლოდ ევროპაშია. ასეთ დროს, როცა მთელი ერი ვზეიმობთ, „ბოლშევიკური ტროიკა“ გიგა კობალაძის თამადობით, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციიდან რიცხავს 35 საქართველოსათვის პატივსაცემ ხელოვანს მხოლოდ და მხოლოდ 1 მიზეზით, რომ დასვეს კითხვები, დაინტერესდნენ დეტალებით და გაუჩნდათ ეჭვები ასოციაციის მიმართ. ამას სხვა არავინ გააკეთებდა, თუ არა ბოლშევიკური რეჟიმი. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ჩემ შემთხვევაში, როცა კითხვები გამიჩნდა – ასოციაციიდან გამრიცხეს.

ასე ევროპაში არ ექცევიან ხელოვან ხალხს, იქ სათანადოდ აფასებენ და არ ძარცვავენ!

მე „ბოლშევიკური ტროიკის“ მიერ რეპრესირებულ 35-ვე ხელოვანს ვეუბნები, რომ ჩვენი ასოციაცია თქვენს გვერდით არის. სადაც დაგხვდებათ ევროპული სტანდარტები, ევროპელი დირექტორი, მართვის გამჭვირვალე სისტემა, სამართლიანობა და მეგობრული გარემო.

ქართველი ხელოვანების ადგილი, დაყოფის გარეშე, მხოლოდ ჩვენთანაა, საქართველოსი კი, ევროპაში!

## საბა საფარელს შეურაცხყოფას აყენებენ



მომღერალსა და მუსიკოსს საბა საფარელს მისი ინდივიდუალური სტილის გამო შეურაცხყოფას აყენებენ:

– რას ნიშნავს, როდესაც არაფერი გინახავს და არაფერი მოგისმენია. შეხედეთ და გაეცანით, როგორ იმცირებენ თავს და ავლენენ უვიცობას: 1. თუ ცილინდრი გახურავს, ჩერტკოევს გავხარ; 2. თუ ფეხსაცმლის ცხვირი ვიწრო, მაშინ სურამელაშვილს; 3. თუ სიმღერისას ბოლო ხმაზე არ ყვირი, მაშინ სტეფანეს ბაძავ; 4. თუ თეთრს ჩაიცვამ, მაშინ აჩიკო მეფარიძის ჩინური ვერსია ხარ. აღარაფერს ვიტყვი შეურაცხყოფაზე, დაცინვასა და ბილწსიტყვაობაზე, რომელსაც ეს ნახირი მიმართავს!

რა მაგარი გრძნობაა, როდესაც აღზრდა არ გაკლია, არც გემოვნებას უჩივი, არავისი არაფერი აგილია და არავის ბაძავ, არამედ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი გაგაჩნია და ამის გამო ვერ გიტანენ. კომენტარებს აღარ წავიკითხავ, არ მინდა ვიფიქრო, რომ ღმერთს ადამიანზე საშინელი არაფერი შეუქმნია სამყაროში!

## მიშო სულუხია ფოტოგამოფენისთვის ემზადება



მომღერალი მიშო სულუხია ფოტოხელოვნებამ გაიტაცა და სულ მალე დამთვალიერებელს გამოფენაზე მიიწვევს:

– ჩემი ახალი პროექტი, რომელზეც 3 წელი ვმუშაობდი, ყოველდღე, ასტრონომიურ დროის სარტყელზე, მზის ჩასვლის დროს, ცის ჰორიზონტებს და მათზე ფერების უჩვეულო განლაგებას ასახავს, ყოველ დღე სხვადასხვას და უნიკალურს. 180%-ზე განლაგებული სცენები საინტერესო აღმოჩნდა, როგორც ჩემი უნივერსიტეტის სპეციალისტებისთვის, ასევე უცხოელი გალერისტებისთვის, რომლებიც ამ პროექტს სხვადასხვა ქვეყნებში მულტიმედიურ საგამოფენო ცენტრებში წარადგენენ. გამოფენის ხილვა შესაძლებელი იქნება როგორც ტრადიციული, ისე ვირტუალური ხედვის საშუალებებით.

ესპანეთში გავფრინდი. ქალაქ ბარსელონაში, მადრიდსა და ალიკანტეში გადაღებული სცენები შეემატება კიდევ ამ კოლექციას. სურვილი მაქვს, საქართველოშიც გამოვფინო ეს ნამუშევრები და ყველა დაგპატიჟოთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ლიტერატურული პრემია „ნაკადულის“ გამარჯვებულები გამოვლენილია




საბავშვო ლიტერატურულმა პრემიამ „ნაკადული“ გამარჯვებულები დაასახელა და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა. პრემიის 4 ნომინაციაში 50-მდე წიგნი იყო წარდგენილი, მოკლე სიაში 18 მათგანი მოხვდა. ჟიურიმ დიანა ანფიმიადის, თეა თოფურიას, გოტა ჭანტურიას, თაკო ბაქრაძისა და ნინო ფსუტურის შემადგენლობით საუკეთესოები დაასახელა.

**საუკეთესო პროზაული წიგნი** – ბებე, მაწანწალების უფლისწული – თამრი ფხაკაძე.

**საუკეთესო პოეტური წიგნი** – კარგად ყოფნის წესები – თუთა ჯგუშია.

**საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი** – ნახევარქათამა – ვარლამ ჯმუხაძე.

**საუკეთესო საგანმანათლებლო-შემეცნებითი წიგნი** – ბახტრიონი – ნინო სადღობელაშვილი.

საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებით მესამედ გაიმართა. პრემია „ნაკადული“, იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მიერ ორგანიზებული თბილისის საბავშვო წიგნის ფესტივალის ფარგლებში დაარსდა. პრემიის მიზანია ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ინტერესის გაზრდა, ასევე, საბავშვო წიგნებზე მომუშავე ავტორების წახალისება და მათი შემოქმედების პოპულარიზება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 2. რევაზ ლაღიძის ოპერა; 3. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 4. სახელმწიფო ჰიმალაებში; 6. მსხლის ქართული ჯიში; 9. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 13. პენიცილინის აღმომჩენი ფრანგი ექიმი; 14. რაიმეს მარაგი; 15. სარწმუნოების უარმყოფელი; 17. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 1. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 5. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 7. ნახევარკუნძული ევროპაში; 8. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 10. სამონასტრო კომპლექსი საჩხერის რაიონში; 11. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 16. ბრიტანული ყველი; 17. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 19. მწვერვალი კავკასიონზე; 21. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 22. ველური ვარდი; 23. დიდი კაშკაშა მეტეორი; 24. ფრანგი კომპოზიტორის ადოლფ ადანის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*